

სიბერეთის



ხმა




№ 37

ყოველ კვირული ჟურნალი

№ 37

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, პლენარის პროს. სასტუმრო „ნოე“ ოთახი № 102.



რედაქცია

ლია ყოველ დღე { დღის 2 ს. საღამოს 6 ს.

საბჭოთა კავშირის საბარეო ვაჭრობის ბრწყინვალე გაგარჯვება.

ჩვენს და გერმანიის შორის მომხდარი კონფლიქტი, რომელიც საბჭოთა საგარეო წარმომადგენლობის ავანაჟურ დარბევას გამოიხატა, თავიდანვე დამახასიათებელი იყო ევროპის ბურჟუაზიის დამოკიდებულობის ჩვენს საგარეო ვაჭრობასთან. კომუნისტურ პროპაგანდის საშიშროება, რომელზედაც ასე ხასხასით ლაპარაკობდა მაშინ ევროპის პრესა, რა თქმა უნდა, მეორე ხარისხიანი მნიშვნელობის საქმე იყო.

მთელი ამ კონფლიქტის აზრი გამოიხატა ჩვენს საგარეო ვაჭრობის წინააღმდეგ შეტევაში. ჩვენ იცით, რომ საბჭოთა კავშირის მაგარად უჭირავს ხელში გარეშე ვაჭრობის საქმე და ამ დარგში კერძო კაპიტალის ქაჟანიც არ არის.

ეს გარემოება იმდენად მოუწინაველია ევროპის ბურჟუაზიისათვის, რომ ის ხშირად საბჭოთა კავშირის იურიდიულ ცნობის პირობათ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მოსპობას აყენებდა.

როცა ამ მხრივ ცდა უნაყოფო გამოდგა, მათ სხვა ფრონტზე გადაიტანეს ბრძოლა. მით უმეტეს ასეთი გზით ორგანიზაციის საქმე უნდა გაკეთებულიყო: — საბჭოების მიერ გარეშე ვაჭრობის პოლიტიკის შეცვლა და კომუნისტურ პროპაგანდის შენელება, ამ პარტიის პრესტიჟის დაცემა ევროპის მუშათა კლასის თვალში.

ამიტომ სრულიად გადკარბებული არ ყოფილა ის დაფასება რუსეთ-გერმანიის კონფლიქტის, რომელიც მან საბჭოთა საზოგადოებრივ წრეებში თავიდანვე ჰქოვა.

ბერლინის საგარეო წარმომადგენლობაზე თავდასხმა იყო არა მხოლოდ შტრეზემანის, არამედ საერთაშორისო ბურჟუაზიის ხელით მოწყობილი საქმე. კონფლიქტის ფარგლები რუსეთ-გერმანიის სრულიად არ ამოიწურებოდა.

ცხადია ამიტომ ის მძლავრი პროტესტის

ხმა, რომელიც მაშინ გაისმა მთელი კავშირის ტერიტორიაზე. პროლეტარიატმა იგრძნო, რომ რუსეთის შიგნით ეკონომიურ ფრონტზე კისერმოტეხილი ბურჟუაზია, საზღვარგარეთიდან ფიქრობს ეკონომიური ბრძოლის საძრომელა გაიჩინოს ჩვენს რესპუბლიკებში და მით კვლავ დაიბრუნოს მისი ძველი მდგომარეობა რუსეთში.

ჩვენს პროლეტარიატს მედგრათ გამოეხმაურა დასავლეთ ევროპის მშრომელი კლასი და პირველ ყოვლისა თვით გერმანიის პროლეტარიატი.

არც ერთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოსთან არ ჰქონია საბჭოთა კავშირის ისეთი მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა, როგორც გერმანიასთან. მაგრამ მან ყველა ეს დამოკიდებულება ანაცვალა მუშათა კლასის ინტერესებს და გასწყვიტა კავშირი გერმანიასთან.

დღეს ჩვენ ვკითხულობთ დებუშების ცნობას: „გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ ბერლინის პოლიციის მიერ საგარეო წარმომადგენლობის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება, შედეგი იყო გერმანიის პოლიციის დამოუკიდებელ მოქმედების. ბოცენგარტის გაქცევის ცნობა არას დიდებით არ შეიძლება მიეღოს ასეთი მოქმედების საფუძვლად, გერმანიის მთავრობამ გადააყენა ამ გამოსვლის ხელმძღვანელი თავის წინანდელ სამსახურიდან და სასჯელში აძლევს გერმანიის ყველა დამნაშავე თანამდებობის პირთ. გერმანიის მთავრობა აცხადებს თავის სურვილის შესახებ, რომ ის მზადაა ანაზღაუროს ამ გამოსვლით მიყენებული მატერიალური ზარალი და ცნობს საგარეო წარმომადგენლობის შენობის ნაწილზე ექსტერიტორიალობის უფლებას“.

ასეთია დებუშის ცნობა. აჰ, რასაკვირველია, საქმე ის კი არაა, რომ გერმანიის მთავრობამ დამნაშავენი დასაჯა, ამით ჩვენს ეკონომიურ წარმომადგენლობას ბევრი არაფერი დოვლათი შეემატება, არც ზარალის ანაზღაურება ღირს ჩიტის ნისკარტის დაკვრათ.

მთავარი ისაა, რომ ამ კონფლიქტს საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. რაკი საბჭოთა დიპლომატიამ ასე ბრწყინვალედ გაიმარჯვა ამ კონფლიქტში, ეს მოწმობს, რომ მოსპობილია შემდეგისათვის პრეკედენტი ასეთი მოქმედების განმეორებისათვის სხვა სახელმწიფოში.

ამიერიდან საერთაშორისო ბურჟუაზია უფრო შორს დაიქვრს თავის ღინგს საბჭოთა წარმომადგენლობებიდან.

ს. დევდარიანის წერილის გაშვ.

დღეს ჩვენ ვთავსებთ სეთ დევდარიანის მეორე წერილს გორდანიასთან. როგორც მკითხველი დანიხავს, ეს წერილი ბევრ რამე ლაპარაკობს ქართულ სოც.—დემოკრ. დღევანდელ ვითარებაზე.

სეთ დევდარიანის პოზიცია დღეს ბევრისათვის გაუგებარია. მას ეძებს მენშევიკური პარტიის ყოფილი მასა, რომ ნახოს, ვაიგოს სად გაჩერდა ეს კაცი და როგორია მისი აწინდელი სავალი გზა. ჩვენ დღეს ეს კითხვა იმდენად არ გვაინტერესებს. ამის შესახებ ბევრი დაიწერა და ითქვა მას შემდეგ, რაც სეთმა ახალი კურსის ძიება დაიწყო.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ამჟამად იპყრობს ის დიავნოზი, რომელიც ქართულ მენშევიკურ პარტიის ერთ-ერთ გამოჩენილ თეორეტიკოსთაგანმა, გაუქეთა დაავადებულ სოც.—დემოკრატის.

სეთ დევდარიანი ღვიძლი-ღვიძლთაგანი და სისხლი-სისხლთაგანია ქართული მენშევიზმის. ის ამ პარტიას მეთაურობდა მეფის რეაქციის სუსხიან დღეებში. ის მის რიგებში იყო „ოქროს ხანაში“, თებერვლის რევოლუციიდან საქართველოს გასაბჭოებამდე, ის მას მხარში ედგა გასაბჭოების შემდეგ, იატაკ-ქვეშ მუშაობდა

ბაში. ვის, თუ არა სეთის, შეუძლია იცოდეს ამ პარტიის ავი და კარგი, ვის, თუ არა სეთის, შეუძლია ილაპარაკოს დღეს ამ პარტიის ბედისწერაზე.

ამიტომ სეთის მეორე წერილი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ეს ისტორიული მნიშვნელობის წერილია, რამდენადაც ის სეთის კალამს ეკუთვნის და საკითხის გაშუქებას ობიექტიურად, პარტიულ ფანტაზმის და ჭიანჭობის გარეშე უღვება.

ჩვენ გვერდზე ვსტოვებთ ამ წერილის ზოგიერთ ადგილებს, სადაც ავტორს აზრი ბოლომდე არ მიუყვანია და რომელთაც პრინციპიალურ გაურკვევლობის ფერი გადაჰკარავს. წერილის მთელი ღირსება იმაშია, რომ ის ძირშივე სკრის კითხვას, რომ მისი ქვაკუთხედი საესებით ეთანხმება ჯერ კიდევ შარშანდელ ყრილობის მიერ მიღებულ დეკლარაციებს.

პარტიამ დაჰკარგა მარქსისტული გზა და პრინციპი, აჰყვა სტიქიას, სურვილებს, სხვა ვერაფერი ნახა ხელმოსაკიდებელი და ჩავარდა უფსკრულში.
(ხაზი ს. დევდარიანისაა, რედ.)

ამას ამბობდა შარშანდელი ყრილობა, ამასვე იმეორებდა მას შემდეგ ამ ყრილობის პლატფორმაზე მდგომი ამხანაგები. დღეს სეთიც ხელს აწერს მასზე. სხვა საქმეა ვის როგორი დასკვნა გამოჰყავს აქედან. სეთის აზრით, რაკი პარტია ავანტიურის მორევში გადიხება, საკმარისია იქედან წასვლა, საკუთარი სისპეტაკის შენარჩუნება.

მუშათა და გლეხთა დიდი უმრავლესობა, რომელიც მენშევიკურ პარტიის საფარ ქვეშ იყრიდა თავს, სხვადასხვად მსჯელობს. რაკი „პარტიამ დაჰკარგა მარქსისტული გზა და პრინციპი,“ რაკი ის სტიქიამ გაიტაცა და უფსკრულში გადაავლო, საჭიროა ამ უფსკრულიდან თავის დაღწევა, საჭიროა კვლავ რევოლუციის გზაზე დაბრუნება. ის ასედაც მოიქცა. დღეს, მენშევიკურ პარტიის მუშურ გლეხური მასა მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ არის დარაზმული და გულისტკივილით იგონებს წარსულს, რომელმაც ის „მარქსისტულ გზას და პრინციპს“ ააცილია, სტიქიის გააყვლა და უფსკრულში გადაისროლა.

საქართველოს საკითხის გადასაჭრელად არ კმარა სოლომონ ზურგელიძისავეთ ამის მტკიცება, რომ დემოკრატიზმი სჯობია ბოლშევიზმს.

ასე სწერს სეთი დევდარიანი ჟორდანისა. და ვანა არალეგალურათ მომუშავე დღევანდელი თითო-ორიოლა ავანტიურისტები ამასვე არ ამტკიცებენ? ვანა მენშევიკურ პარტიის დღევანდელი საქმე და სიტუაცია სოლომონ ზურგელიძის ტენის შემოქმედება არაა?

აქ ოხუნჯოების ნატამალიც არ არის, ეს მწარე სინამდვილეა. სინამდვილე, რომელმაც ამდენი უმანკო სისხლი დააღვრევინა ქართველ მშრომელ ხალხს რევოლუციისათან ბრძოლაში, სინამდვილე, რომელსაც ქართველი მუშის და გლეხის დიდი ნაწილი ფიზიკურ განადგურებისაკენ მიჰყავდა.

დღეს ჩვენში მენშევიკურ პარტიის სვებედი სოლომონ ზურგელიძის ხელშია. ამაშია სწორედ პარტიის მთელი ტრაგედია. მის ხელმძღვანელთა ტენი შოგინიზმის და კაცობიო-

ბის პოქსით არის მოდებული. მათი თვალი ვერ ხედავს და ყური ვერ ისმენს იმას, რაც კეთდება დღეს საქართველოში. მათ არ ძალუძთ იქონიონ მოქალაქეობრივი გამბედაობა, ვაკვრით მიინც გამოუტყდენ თვალახვეულს, მცონარე ინტელიგენციას, რომელიც დღეს კიდევ შერჩენია მის შეთხელებულ რიგებს, რომ

კულტურულ ეკონომიურ ასპარეზზე აქ ბევრი რამ არის გაკეთებული და დაწეებული. გაცილებით უფროა, ვიდრე ჩვენ ღრის იყო.

ამას კი უშიშრად და პირდაპირ აცხადებს სეთი დევდარიანი.

ვინც სეთის წერილს მიუღდომლათ და განჩხლების გარეშე წაიკითხავს, მის ბევრ საგულისხმოს ეტყვის ის. ამ წერილს თავისი ადგილი დაუტოვებ ს. დემოკ. პარტიის ისტორიაში. ის დაწერილია ამ პარტიის ერთ-ერთ მესვეურის კალმით.

ვისაც ყური სმენად გაქვთ და თვალი ხედვათ გაიგონეთ ეს, სანამ კიდევ გვიან არ არის.

აგაზა გუბი საგუთი პიღვ იქნება?

ჩვენ შარშანდელ ყრილობის სამზადისის დროს და აღრევც არა ერთხელ გვითქვამს, რომ სოც.-დემოკრ. ეკლესია უპატრონოდ დარჩა, რომ მას ეშმაკები განაგებენ, რომ შეილანძღა, გათახსირდა ყოველივე წმინდა, რაც ამ ეკლესიაში მოიპოვებოდა და რის გარშემოც თავს იყრიდა ათეულ წლობით ქართველი და ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი.

ჩვენ ვამბობდით, რომ მენშევიკური პარტია ჩვენში აშკარა ავანტიურის, პოლიტიკურ დონკიხოტობის პარტიად იქცა. მან მიზნად დაისახა მუშათა ხელისუფლების იარაღით ჩამოგდება, მან კავშირი შეჰკრა ჩვენი ქვეყნის შვე ძალეთთან, მან ავითაცია-პროპაგანდა გააჩნდა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ საზღვარ-გარეთ. მან ლაფში ამოსვარა ოდესღაც ამაყად მოფერილე წითელი დროშა.

ყველა პატიოსან მუშას და გლეხს ვეძახდით მაშინ ჩვენსკენ, ყველას მოუხმობდით ქვეშარტ გზაზე შესადგომათ. როგორც მოსალოდნელი იყო, პარტიის თუ მთელი არა, თითქმის მთელი აქტივი ჩვენ მოგვეკვდა, პროლეტარიატის დიქტატურის გზით გავყვავა.

მაგრამ ამას ვერ შერიგებოდენ პარტიაში დარჩენილი ჩვენი მოწინააღმდეგენი. ისინი ჩვენ ათასგვარ ცილისწამებასთან ერთად წყევლასა და კრულვას გვიგზავნიდენ ასეთი ნაბიჯის გადადგმისათვის.

ისინი მოითხოვდენ საბუთს, ურყევ ფაქტს ყოველივე იმისას, რასაც ჩვენ კონფერენციებზე და დეკლარაციებში ვამბობდით. ისინი ვერ ურიგდებოდენ ჩვენ მიერ წაყენებულ „ლიტონ“ ბრალდებებს.

და დახეთ ბედის უკუღმართობას? ამის მეთაური იყო სეთი დევდარიანი, არალეგალურ კომიტეტის ერთი ხელმძღვანელთაგანი, რომელსაც დღეს ასეთი დიდი გამბედაობა შესწევს აშკარად და გაუზახდით ვანაცხადოს, რასაც ფიქრობს და რასაც გრძნობს.

აი რას სწერს ის ნ. ჟორდანის საპასუხო წერილში:

ყუბნებოდი სხვათა შორის საინიციატივო ბიუროს (ლაპარაკია ყრილობის საინიციატივო ბიუროზე, ს. ხ.), დამანახვეთ რა საბუთებით მტკიცდება, რომ პარტიას კავშირი აქვს ბანდლებთან და ერთი წუთასაც აღარ დავრჩები პარტიაში თქო.

და უნდა ითქვას სიმართლე, სეთი დევდარიანმა აქ პოლიტიკური სინდისიერების საუკეთესო მაგალითი გვიჩვენა. მან თავის პირობა პირნათლად შეასრულა. მართალია ეს საბუთები მისთვის საინიციატივო ბიუროს არ უჩვენებია, მართალია მან ის ჩეკის სარდაფში ნახა,— მაგრამ ის არ შეუშინდა „საზოგადოებრივ აზრს“. მან სირაქლემასავით თავი სილაში არ დამალა, როცა საკუთარ პარტიის ავანტიურის უფსკრულში გადაიხეხა აშკარად დაინახა.

ჩეკამ დიდი გავლენა იქონია ჩემზე, სწერს ის ნ. ჟორდანისა, იმით რომ მანახვა მის ხელში ჩაცვენილი საბუთები. ნ. ჟორდანია გაცნობა ამ საბუთებებს და ვნახით აიღობს თუ არა თავის თავზე სრულ პასუხისმგებლობას... **საზღვარ-გარეთიდან მოსულ წერილებიდან, აქაურ საბუთებიდანაც ხიანს რომ საქართველოს სოც.-დემოკრ. პარტია ხელს ვერ დაიბანს. ვერ იტყვის ჩოლოყაშვილის არავიცი რაო.** (კურსივი ყველგან სეთისაა)

ასე სიტყვა ადამიანმა, რომელსაც უჭრის თვალი და მახვილი აქვს ყური, ასე სიტყვა მენშევიკურ პარტიის ერთ-ერთ პატიოსან ხელმძღვანელთაგანმა, რომელსაც პოლიტიკური მოღვაწეობა პოლიტიკურ რისკიანობათ არ გაუხდია, რომელსაც შესწევს შექმნილ მდგომარეობის მოუღდომელი და ობიექტიური აწონ-დაწონვის უნარი.

მაგრამ ასე არ ფიქრობს, და თუ ფიქრობს, ასე არ ამბობს ჯერ კიდევ იატაკ-ქვეშ შერჩენილი გადაჯაჭურებული ავანტიურისტები. ისინი თავის გზით განაგრძობენ სვლას. ისინი კვლავ ძველ საცონენლს ცოხნიან, ისინი კვლავ თავის ამინდს ელოდებიან. დაე, იცოდეს ყველა ჩვენგანმა ეს.

სიმონ ზეინკალი.

ხეა საფლავიდან

მისში მომხდარა რ. ს.-დ. მ. პ. ცეკას გაფართოებული პლენუმი.

თუქმე საფლავშიც ლაპარაკობენ.

და ის ხალხი, ვინც დასამარა კარ ხანია რუსეთის რევოლუციამ და მუშათა კლასმა, ლაპარაკობს საფლავიდან.

ამ პლენუმს დასწრებია: რ. ს.-დ. მ. პ. საზღვარგარეთელი დელეგაცია, „ბუნდის“ საზღვარ-გარეთელი დელეგაცია, ცეკის ბიუროს წარმომადგენლობა და „მთელი რივი გამოჩენილ პარტიულ მუშაკებს“, სულ 18 კაცი.

ეხლა არ იკითხავთ რაზე ქონით ლაპარაკი ამ ხალხს?

მათ მიელოთ ახალი პლატფორმა (!) რას ამბობს ეს პლატფორმა?

პირველ მუხლში ვკითხულობთ:
 ... „კაპიტალისტურ ბარბაროსობის წინააღმდეგ ამოხეტილმა სიბრახემ მოიცვა ომისგან გამოღვიძებული მუშათა მასები, როგორც კი მიწყნარდა შოვინისტური თავბრუს დასხმა, რასაც სთვსავდენ გაბატონებული კლასები“...

მოდით და ნუ გაგვიცნებია!
 მენშევიკები გვერდში უდგენ სწორეთ ამ გაბატონებულ კლასებს მუშების დაბრმავებაში და ერეკებოდენ ბრძოლის ველზე მათ.

ეხლა კი სხვას უსაყვედურებენ.
 მე-7 მუხლში ვკითხულობთ:

— „მუშათა კლასის ბრძოლა პოლიტიკურ ძალა-უფლებებისათვის, წარმოების იარაღების განსახოვადობრივების გზით, არის ძირითადი შინაარსი, მახლობელი წერტილი ეპოქის“.

მე-16 მუხლში კიდევ უფრო მეტი სიწითლე გამოსჭევივის ამ პლენუმიდან.

პლენუმმა საქართველო სცნო:

„ა) აღება სახელმწიფო ძალა-უფლების, რაც შეადგენს მუშათა კლასის ძირითად ამოცანას მიმდინარე ეპოქაში;

ბ) მუშათა კლასის ერთიანი საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც იქნება მიმართული ამ ამოცანის განხორციელებისაკენ და აგებული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე;

გ) გაერთიანება ყველა პროლეტარული ძალების რევოლუციონერ მარქსიზმის ნიადაგზე, რაც არის ძირითადი პირობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამარჯვებისათვის;

დ) მარქსისტული ელემენტების შემკიდროება მისი-ს (ყვეთელი ინტერნაციონალი. ა. რ.) შიგნით. რომ მოხდეს გავლენა მის საერთო პოლიტიკაზე და ის იქმნეს რევოლუციონერ-კლასური ბრძოლის სულით გაჟღენთილი.

აქ თითქო ყველაფერი რიგზეა. თითქო ეს ხალხი უკვე მოსულა ქუთაზე და ამბობს იმას, რასაც ამბობენ ბოლშევიკები.

მაგრამ საქმეს ლუპავს „ეპოქა“.
 „მახლობელი ეპოქა“ ამ ხალხის პირში ათეულ წლებს შეიცავს.

რევოლუციონერი მარქსიზმი, ბრძოლა ძალა-უფლების მუშების ხელში ასაღებად, გაერთიანება ყველა პროლეტარულ ძალების,—ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ როდის?

—მახლობელ ისტორიულ ეპოქაში.
 მოდი ეხლა იანგარიშე როდის დადგება ეს „მახლობელი ეპოქა“.

საფლავიდან ამოიხროვე რევოლუციონერი სიტყვა, მაგრამ ალბათ, წამსვე შეეშინდათ მისი და მიუმატეს „მახლობელი ეპოქა“ არავინ შეგვწამოს, რომ დღესვე გეინდოდეს ყველა ამის განხორციელება.

მაგრამ ამ ორიოდე რევოლუციონერ სიტყვასაც იმდენი რეაქციონერი ნაგავი დააყარეს თავზე, რომ რევოლუციონიზმიდან არაფერი აღარ დარჩათ რუსეთელ მეშვეიკებს.

— „ეხლავე უნდა გაუქმებულ იქმნეს სახელმწიფოებრივი პოლიტიკური მმართველობა და ტერორის სხვა ყველა ორგანოები“—ო.

რეაქციონერი ბურჟუაზიაც ხომ ამას თხოულობს?

— „გაუქმებულ იქმნას ყველა განსაკუთრებული სამხედრო ტრიბუნალები და გადაეცეს ყველა საქმეები ნორმალურ სასამართლოებს გასარჩევად“.

ამას თხოულობს ბურჟუაზიაც, რომელიც ებრძვის პროლეტარიატის დიქტატურას.

— „სრული ამნისტია ყველა პოლიტიკურების, გადასახლებულებს და დატუსაღებულთ“...

მათი აზრით მონარქისტები და ყველა შეთქმულობის მომწყობნი, რომლებიც პოლიტიკურის სახელით სხედან, ეხლავე უნდა განთავისუფლებულ იქნენ.

ეკონომიურ სფეროში მოითხოვენ ეპიკრობა მრეწველობა დაეთმოს კერძო კაპიტალს, ხოლო სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის ხელში ამ ეპიკრობა-მრეწველობის მოწყვსიერების საქმე.

მათი აზრით, საგარეო ეპიკრობის მონოპოლია უნდა გაუქმდეს.

სრული რესტავრაცია კერძო საკუთრების მიწის საკითხში, ეპიკრობა-მრეწველობაში და ნორმალური პოლიტიკური უფლებები როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის ბურჟუაზიის,—აი რას მოითხოვენ მენშევიკები.

ეხლა ამ პლათფორმით ვისზე ემყარება საზღვარგარეთ მოხეტიალე ხალხი?

სოციალ-დემოკრატია ემყარება არა „ყოფილებზე“ არ ამ ედ „მომავალ“—მებრძოლებზე. თვითონვე აღვიარებენ, რომ მათ ამ ემამთ არ ყავთ მასა. მაგრამ თუ მაინც სწორენ პლატფორმებს, ეს იმტომ, რომ იქნებ ვინმემ მოიგონოს ეს საფლავის ხმა და გაიზიაროს.

ყოველ შემთხვევაში პესნიში მაინც დიდია რუსეთის მენშევიკებში.

გრძნობენ რომ ისინი ბედის მიერ მიტოვებული, განწირული არიან.

და თავს იშვეილებენ:

— „არა საფუძველი უიმედო პესნიშიმისთვის,“ ეკითხულობთ „Социал. Вест.“-ის № 12 13 (20 ივნისი).

იმედიც კი საქონელია.

ბურჟუაზიის დაცვა თავის პლატფორმაში, კერძო საკუთრების აღიარება მაინც აუჭიროებს რუსეთელ მენშევიკებს.

ეს პასუხი არ არის

1

ნ. ჟორდანიასგან მართალი ვსთქვა, არ მოველოდი ასე დაწვრილმანებას და ბუზის დანახვას იქ, სადაც სპილოა დასანახავი. ეს ეპატიებათ ჩვენი დროის ლიაპკინ-ტიპკინებს, პოლიტიკურ მცირე წლოვანებს, ამათ არ შეეძლოთ მეტი და შეუდგენ „ბუზების თელს“—ამდენად შეაშინა ჩემამ ეს კაცი, იტყუდა თუ არა, რასაც ახლა ამბობს, ჩემამ, რომ არ ჩავარდნილიყო და სხ.

ვიმეორებ, ამათ ეს ეპატიებათ. ფრანგული ანდაზაა,—საუკეთესო ქალწული ვერ მოგცემს იმაზე მეტს, რაც აქვს. მაგრამ ნოე ჟორდანიას მეტი მართებს და მეტი მოეთხოვება. ის არ უნდა გამხდარიყო ასე ნემსის კუნწში გასაძრომად და არ უნდა დაეწყო თავის პასუხი ჩემ წერილზე იმით, რომ „ეს ახალი რევოიზიონიზმი ჩემამ ხომ არ მოახვია თავზეო“.

მოუუყვები ნ. ჟორდანიას, რაში და როდის დაიწყო ჩემი „რევოიზიონიზმი“. რუსეთის სოც.-დემოკრატიკაში მე ვიდექი საშუალო ხაზზე, ვეკუთვნოდი ე. წ. ცენტრს, ვამბობდი და ეწერიდი ხოლმე, რომ მუშათა კლასის დემოკრატია უნდა იყოს მებრძოლი ორივე ფრონტზე—როგორც ბოლშევიკების, ისე დენიკინ-კოლჩაკის წინააღმდეგ თქო. ვის ავირჩევდი მე. თუ არსიდან არ გამოჩნდებოდა ეს საშუალო ძალა,

ეს ორივე მხრივ მებრძოლი დემოკრატია? არასოდეს არ მიფიქრია ბოლშევიზმის მოწინააღმდეგე ძალების არჩევა, გულშიაც არ გამივლია მარჯვენა ბოლშევიზმისაკენ გადაქანება. საქართველოს დემოკრატია მე მიმაჩნდა სწორეთ ამისთანა საშუალო ძალათ. 1920 წ.

განმავლობაში ხშირად მითქვამს ხოლმე ხან სიტყვით ხან კალმით,—საქართველოს დემოკრატიათ თუ გაიმარჯვა, ეს იქნება საერთაშორისო დემოკრატიის გამარჯვებათქო. ასე გვიტხრა სხვათაშორის მეორე ინტერნაციონალის ერთმა წარმომადგენელმა აქსტუმრობის დროს... თქვენ დამარცხდებით, ჩვენი დამარცხება იქნება, თქვენ გაიმარჯვებთ ჩვენი გამარჯვება იქნება. საქართველოს დემოკრატია ჩაიჭრა ისტორიულ გამოცდაზე. ის დამარცხდა 1921 წ. თებერვლის—მარტის დღეებში არა მარტო იმით, რომ რუსეთი მოერია, ის დამარცხდა პოლიტიკურადაც. ყველახათვის ადვილი დასანახავი გახდა, რომ საქართველო ვერ შეიკავებს თავს საშუალო ხაზზე, უნდა მიემხროს რომელიმე ძალას. რომელს? ეს კითხვა მე დავყავენი ქუთაისში გამოსულ ვაზ. „ერთობის“ უკანასკნელ ნომერში, იმ დღეს როცა ბათუმისაკენ მივეჩქარებოდით. ვსთქვი, რომ საქართველო უნდა იყოს ანტანტის მოწინააღმდეგე კავშირში.

ბათომში მე წავიკითხე ნ. ჟორდანიას მოწოდება, ეუბნებოდა ქართველებს არცერთი განკარგულება ძალით მოსულ მთავრობის არ უნ-

და სრულდებოდეს, ერთად ერთი კანონიერი მთავრობაა ის, რომელიც ახლა მიდის საზღვარგარედ და, სადაც უნდა იქნეს, თვალ-ყური იმისკენ უნდა გვექროსო.

ნ. ჟორდანიას ამ მოწოდებაში დასაყრდნობ წერტილად იხილდა საქართველოს იურიდიულ ცნობას. ის ეკედლეოდა ევროპის სახელმწიფოებს ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ. ეს იყო მე ვამტკიცებ, რევოიზიონიზმი ნ. ჟორდანიას პოლიტიკურ აზროვნებაში. კარგათ მახსოვს რაც უთქვამს ხოლმე 1920 წ. ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე, რასაც ამბობდა პარტიულ ყრილობაზე იმავე წელს, ან ამა თუ იმ მხსხენებებში პარტიის გარეშე, მაგალითად, სახ. გვარდიის ყრილობაზე, მახსოვს მისი დეპეშა, რომელიც გაუგზავნა მოსკოვს ვრ. ჟრატაძის სახელზე მოსკოვთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულების გამო, მახსოვს მისი თეზისები, რომელსაც ის ატანდა ჩვენს მუშა-ღა დღეუცავისა საბჭოთა რუსეთში. ყველაფერიდან და ყოველთვის გამომდიოდა ისე, რომ ვადამწყვეტ წუთში ნ. ჟორდანიას არ აირჩევდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს რუსეთის წინააღმდეგ, პირიქით ამ უკანასკნელს აირჩევდა პირველის წინააღმდეგ.

ბათომში ზღვის პირზე გემში ჩაჯდომის წინა დღით ნ. ჟორდანიას პოლიტიკას ჯობი ვადელუნა იქითა მხარეზე. ეს იყო რევოიზიონიზმი—ბოლშევიზმის შიშით გამოწვეული.

მე ძალიან შემაშინა ამ რევოიზიონიზმმა, „ერ-

— ვაი თუ გვივიტონო.

და ამიტომ იმართლებენ თავს:

— „ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქმის ჩვენი პარტია შეიქმნა კაპიტალიზმის აპოლოგეტი, რომ მისი „დანერგვა“ გადიქტა პარტიის „ლოზუნ-ვათი“!“

რალა დროსია თავის მართლებას?

დაიწყეს სადღეგრძელოთი, გაათავეს შესანდობარით.

ა. რ.

მ რ ი ე მ ი გ რ ა ხ ი ა .

ფანტაზია პოლიტიკაში—სისულელეა სინამდელივში. ვისაც სასიცოცხლო ნიჟარა გამოეცვლება ფეხ-ქვეშ, ის კარგავს რეალობას და ვარდება მისტიციზმში.

„Новое Время“-ში ამას წინათ მოყვანილი იყო „ცნობები“ საბჭოთა რუსეთიდან. ამ „ცნობების“ მიხედვით თურმე მთელი ხალხი სიხარულით ცას სწევია, როდესაც გაუფრია, რომ „მოწყალეობითა ღვთისათა“ და კურთხევითა ევროპის ბანკირებისა ნიკოლოზ რომანოვს მოუსურვებია დაბრუნდეს რუსეთში და დაიბრუნოს ტახტი. თურმე ახალგაზდებს ჯარი შეუდგენიათ, მოხუცებულები „ობოზში“ ჩაწერილან, ქალები სანიტარებათ და საავტობილოთ წასულან. მუშებსაც კი უთქვამთ: რომანოვი თავისი ჯიბების გასასქელებლათ კი არ ბრუნდება და არც სხვას მისცემს ამის ნებასო. მაშ რისთვის ბრუნდება რომანოვი?—მუშების უზრუნველყოფისათვის. „მატუშკა“ რუსეთი უნდა იხსნას რომანოვმა, სამშობლო და ქრისტიანული ტრადიციები უნდა „დაიკვას“.

ამავე ხანებში ფენევაში კარლო ჩხეიძემ სი-

ტყვით მიმართა ევროპის „საზოგადოებრივ აზრს და უთხრა:

— „ჩემ სამშობლოდან“ უწინ ბერძნებმა ოქროს ვერძი გაიტაცეს, ჩემ სამშობლომ განიცადა არაბების, მონღოლების და სხვათა შემოსევანი, დღეს ჩემს სამშობლოში, იღვენება სამღვდლოება და ბატონობენ ბოლშევიკები. მთელი ხალხი ამხედრებულია ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ნოე ჟორდანია კი სწერდა: მთა აჯანყდეს, აზერბეიჯანი აღდეს, გზები გადასკერით რუსეთისკენ. შემდეგ საქართველო ჩადგეს აჯანყებაში, ევროპაც წამოგვეშველებათო.

ყოველი პოლიტიკოსისთვის, რომელიც რეალობას არ ასცდენია, ცხადია, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი ცნობები მოცლილი ხალხის ლაყბობაა. ჩატეხილია ხიდი ამ ხალხის და ნამდვილ ხალხს შორის. ილუზიაა ეს და თავისი თავის მოტყუება. რუსეთში, რომ მუშა რომანოვს მოეღის—ეს მისტიკაა. საქართველოში, რომ ნოეს აჯანყება გაიმარჯვებს—ეს მისტიკაა. ჩხეიძის „ჩემ სამშობლო“ რომ ევროპის ბანკირები გაანთავისუფლებენ—ეს მისტიკაა...

მაგრამ ჩვენი საზღვარგარეთელი ემიგრაცია და რუსეთის მონარქისტული ემიგრაცია ამ გზებზე შეხედენ ერთმანეთს. ერთს წერტილში სცემს ორივე ემიგრაცია, ერთ საქმიანობის გზაზე ორივე—ჯგუფი.

რატომ?

რუსეთის მონარქისტებმა დაკარგეს სოციალური ნიჟარა რუსეთში. დღეს ისინი ზედმეტი ხორცია რუსეთის სხეულზე. საქართველოს მენშევიკებმა დაკარგეს კლასის გზა, მუშური ლოზუნგებიც კი არა გააჩნიათ, მხოლოდ „ჩემ სამშობლო“ შერჩათ—გამოფიტუ-

თობის“ რედაქციაში—ბათომში გვექონდა მაშინ ეს გაზეთი—ვეუბნებოდნენ. რამიშვილს, რომ ჩვენ უნდა ჩამოვაგდოთ ბოლშევიკებთან ზავი, თქვენ თუ მიდიხართ საზღვარგარეთ იმ იმედით, რომ ევროპის სახელმწიფოები დაგვეზარებინან, ჩვენ დაგველუპება პარტია და დალუპვის გზაზე იქნება დამდგარი ქართველი ერისათჳთ. ამ ლაპარაკზე იქ იყვნენ კ. ჩხეიძე და ალ. ლომთათიძე. რამიშვილმა მითხრა—მოვილაპარაკოთ მაგაზე ხვალ ცენტრალურ კომიტეტში. „ხვალ“ ამისათვის აღარ გვეცა-ლა და აღარ შეგვედგირავართ ერთმანეთს.

ამნაირათ ჩემი რევიზიონიზმი, თუ ეს რევიზიონიზმი, დაიწყო ჩეკაში ჩავარდნამდის. ერთში მართალია ნ. ჟორდანია: უნდა მიმეწერა წერილი იმისთვის, როცა საშუალება მქონდა „პირდაპირი კავშირის და მიწერმოწერის“. ვერიდებოდი ამას მართო იმ მოსაზრებით, რომ იქნება ჩემ წერილსაც დამართო-და გზაში ის, რაც ხშირად ემართებოდა წერილებს აქედან და იქიდან. ბოლშევიკები მშენებრათ გამოიყენებდნენ ჩავრდნილ წერილს, ამით პარტიას მთელი ზიანი მოუვიდოდა. საარგებლობა კი არათავი იქნებოდა, კიდევ რომ მისვლოდა ნ. ჟორდანია ჩემი წერილი, არსებობდა ის მომცემდა ისეთ პასუხს, როგორც ახლა მომცა.

მაგრამ საზღვარ გარეთ, მე მგონია ყოველთვის მიდის აქაური გაზეთები. ნ. ჟორდანია აღბათ „წააწყდებოდა“ „კომუნისტის“ ნომერს,

რომელშიაც დაბეჭდილი იყო ჩემი ღია წერილი ყოფილ მენშევიკების საინიციატივო ბიუროსადმი. „წააწყდებოდა“ ამ ბიუროს ორგანოს „მოამბის“ ნომრებსაც, რომელშიაც იყო ერთი რიგი ჩემი წერილების. იქ მე ვსწერდი საერთო ენის შესახებ—ვეუბნებოდი სხვათა შორის საინიციატივო ბიუროს, დამანახვეთ რა საბუთებით მტკიცდება რომ პარტიას კავშირი აქვს ბანდებთან და ერთი წუთისაც აღარ დაერჩები პარტიაში ექო. მაშინ ამ ცუოფილერ ჩეკაში და ჩეკას არაფერი „მოუხვევია“ ჩემთვის თავზე. ჩეკამ დიდი გავლენა იქონია ჩემზე იმით, რომ მანახვა მის ხელში ჩაცვენილი საბუთები. ნ. ჟორდანია, იმედი მაქვს, გაეცნობა ამ საბუთებს და ვნახოთ აიღებს თუ არა თავის თავზე სრულ პასუხისმგებლობას. თითონ დანახავს მაშინ, რამდენათ საფუძვლიანია მისი პასუხის ერთი სტრიქონი:—„მაზე (ე. ი. ჩემზე ს. დ.) ხომ არ გამართლდა თქმულება „შიში შეიქმს სიყვარულსო“.

რაც შეეხება „შიშს“... ნ. ჟორდანია ვეტყვი, რომ თქმაც არ მეადლებოდა პრესის ფურცლებზე. აქ ამას წინათ ბაყაყები მეუციანებოდნენ შეკითხვებში და წერილებში,—დაზვრეტის ხომ არ შეგეშინდაო. ჩეკას ამ საბუთების მიხედვით შეეძლო დაეზვრეტა არა ერთი და ორი, იქნება ათეულიც და ასეულიც. მე ვიცი, რომ არ მოგხვდებოდი არც ათასეულის რიცხვში, არც ნ. ზომერიკი მოჰყვებოდა.

ლი და უშინაარსო მცნება რევოლუციონური მუშებისათვის. ორთავე ემიგრაციამ დაკარგა რეალური მდგომარეობის გაგების შესაძლებლობა და გადაიხება მისტიკაში. შეხედენ ერთმანეთს ისტორიულ გზა-ჯვარედინზე და მიდიან შეხმატკბილებული რუსეთის მონარქიზმი და საქართველოს მენშევიკში. გაერთიანდენ ერთს საქმიანობაში რომანოვი და ჩხეიძე-ჟორდანია.

ორი ემიგრაცია გაერთიანდა რევოლუციის საწინააღმდეგოთ. მაგრამ რევოლუცია ჩააბარებს ორთავე ემიგრაციის უწყებებს ათის წლის ომის თავზე და ეტყვის:

— სასამართლოსკენ, სისხლის სასამართლოსკენ. რ. ჟორქია.

გვიწდა თუ არა გურჯაანული სელოვნება.

(გაგრძელება)

ძველ ხელოვნებაში ბევრია კოლექტივიზმის ელემენტები, რომელსაც ჰქმნიდა ბურჟუაზიულ მხატვრები. ეს ელემენტები პროლეტარიატისათვის, როგორც ბუნებით ორგანიზატორ კლასისათვის, მიუცილებელი იარაღია ახალი ქვეყნის აღმშენებლობაში. სოციალისტების დროს, როცა მთელი აღმსრულებელი შრომა დაკისრებული იქნება უსულო მონებს, მუხუ მანქანას, როცა ადამიანისათვის მხოლოდ ერთი შრომა იქნება, შრომა ორგანიზატორული, რომელიც დაკარგავს იძულებულობის ხასიათს და სურვილის საგნად გადაიქცევა, განუსაზღვრელი იქნება ხელოვნების მოვალეობა, როგორც შრომის ორგანიზაციის იარაღის კო-

1. რ. ხ. „სამართლის ხმა“ № 35.

მაგრამ ჩემთვის გაცილებით უარესი სასჯელი იქნებოდა, რომ ვინმე დმხვრეტელიყო და თვითონ „გადავრჩენილიყავი“. დავარწმუნებ ნ. ჟორდანიას, რომ ეს შიში ახლაც მიდგას წინ, და მე საშინლათ მიკვირს აი რა: გუშინ-წინ ხელში ჩამივარდა ბერლინის „სოციალისტური ვესტნიკ“-ი, აქ ამოვიკითხე: საფრანგეთის სოციალისტურმა კონგრესმა შუამდგომლობა აღორა ამნისტიის შესახებ ზომერიკისთვისო. ეს იქნებოდა აღბათ საზღვარგარეთის ბიუროს წინადადებით. საზღვარ გარეთის ბიუროს მიუღის აქედან წერილები და არ შეიძლება არ იცოდეს, რომ დამწყვედულია არა მართო ზომერიკი, და ზომერიკზე უფრო სჭირდებათ ამნისტია სხვებს. არიან ისინი, ვისაც ბრალდება კავშირი ჩოლოყაშვილითან. საზღვარ გარეთიდან მოხული წერილებიდან, აქაური საბუთებიდანაც სნახს, რომ საქართველოს სოც. დემ. პარტია ხელს ვერ დაიბანს, ვერ იტყვის ჩოლოყაშვილის არავიციარო. მე არ მინდა ერთი მხხვერპლიც შეიწიროს იმ ბრძოლის „ხაზზე“, რომელზედაც დამახინჯებულია და გადავარებულია სოციალისტური პრინციპები. ამ პატარა ფაქტში, რომელზედაც ახლა ვუთითებ—სარკესავით იხედება მთელი ახლანდელი არსება საქ. ს. დემ. პარტიისა. ის ხალხს აბამს ხალხისათვის გამანადგურებელ ბრძოლაში, ხალხს კი ბოლომდის გვერდში არ უდგას და „თავისიანის“ ვაღარჩენაზე ფიქრობს.

ლეიტორ შრომას გვერდით ედგომება ასეთივე ხელოვნება.

ამიტომ უნდა გადაისინჯოს ძველი საუნჯეები, დაიფერტოს ის, გამოშფურდეს კოლექტივიზმის სხივებზე და ისე გადავიდეს ახალ შემოქმედებაში. გონიერი ოსტატი, როცა ის ახალ სახლს აშენებს, კი არ დასწვავს ძველს, არამედ დაარღვევს მას, გადასინჯავს ხელახლა, ამოკრავს იქედან რაც ახალ შენობისთვის გამოადგება და ისე შეუდგება საქმეს. ბურჟუაზიუ ხელოვნების სახით პროლეტარიატს ხელში რჩება ხელოვნების ევებერთელა ტიპარი. ბევრი რამ მასში გაცვეთილი და გამოშპალია, ბევრი მიჩუქულ-მჩუქული და არ ეგუება იმ სულერი და გონებრივ განვითარებას, რომელსაც მიაღწია თანამედროვე კაცობრიობამ. ამიტომ დიდი სიფრთხილით უნდა გადაისინჯოს ის. ყოველი მისი ნაწილი უნდა გარტყვებულ იქნას კლასიურ შეგნების წმიდასა-ცერში და შემდეგ შეთვისებულ.

და არა მარტო ძველი კულტურის უსულო საუნჯე ესაჭიროება პროლეტარიატს. მან უნდა გამოიყენოს ის ცოცხალი სიმდიდრე, რომელიც ამ კულტურასთან ერთად დასტოვა ძველმა საზოგადოებამ. ბურჟუაზიამ, რომელსაც კულტურულ განვითარების ფართე ასპარეზი ქონდა გაშლილი, ხელოვნებას თავის ვიწრო პროფესიონალიზმის დალი დაასვა. ამ საქმისათვის მან ინტელიგენციის კადრი გამოყო ხელოვნების „ჭურჭედად“ წოდებული, რომელიც რუსულიად მოწყვეტილი იყო ფიზიკურ შრომას და მთელს თავის სიცოცხლეს ხელოვნების შესწავლასა და განვითარებას ანდომებდა. მთელი ბურჟუაზიული ხელოვნება ამ „ჭურჭეების“ და მათ წინამორბედთა შემოქმედე-

ბენიას სიგლერა

აქ ვართ ყველა „მებრძოლი“ და მოეწყვეთ კვარტეტი, ბანს ბენია მოგვძახის, თუმც არა აქვს კვარტეტი. გოგიტა მთლად გასუქდა და დათვსავით ჯირითობს, ლხინსა შეუჩვეველსა შეჩვეული ჰირი სჯობს. სამ წელიწადს გატარე იმედებო, უბევი და ეხლა კი—ვაიმე—ვზივარ ჩეკის უკუეში. ფრთა შეისხი, გაფრინდი, აზუზუნდი ფუტკარო, და პარიზში ჩვენს ნოეს ჩვენგან ასე უთხარო. „კომუნისტებს ამ ეამად რა გინდ ძირი უთხარო, „რა გინდ ბევრი ეომო... უთხრა: აქ შენ ნუ ხარო—“—სულერთია აქედან აღარ წავლენ ისინი „და სჯობია შესწყვეტო ამნაირი სისინი“.

„ონწარი“

ბის საქმეა. აქ ეს ინტელიგენცია ისე გრძობს თავს, როგორც საკუთარ სახლში. პროლეტარიატი კი თავიდანვე მოკლებული იყო საკუთარ შემოქმედების საშალებას. მისთვის ბურჟუაზიული ხელოვნება ბევრათ უფრო უცხოა, ვიდრე თვითონ ბურჟუაზიისათვის. და აი აქ ამ ხელოვნების სიმდიდრის გადასინჯვა-შემოწამების დროს, მას ესაჭიროება ბურჟუაზიულ ხელოვნების ცოცხალი „განმელობა“. მაგრამ ეს უკანასკნელი გამოადგება მას არა ხელმძღვანელის, არამედ მხლებლის როლში. როგორც მეცნიერ გეოლოგისთვის ხშირად უცხოა ესა თუ ის ადგილი, სადაც მან გამოკვლევა უნდა მოახდინოს, და ის მხლებელის დახმარებას მიმართავს, ისე უცხოა პროლეტარიატისთვის ბურჟუაზიულ ხელოვნების კატაკომბები. თუ მეცნიერი აღჭურვილია მომზადებით და ცოდნით, რაც მას საშალებას აძლევს აღმოაჩინოს დიდი სიმდიდრე იქ, სადაც ამას ვერ

ამჩნევდა იქვე ათეულ წლობით მომზადრე მისი მხლებელი, ისე პროლეტარიატი საკუთარ ცოდნის, მეცნიერულ მატერიალიზმის ტელესკოპის ქვეშ აღმოაჩენს ბურჟუაზიულ ხელოვნებაში საერთო კაცობრიული მნიშვნელობის ელემენტებს, რომელსაც ჰქმნიდა წინამორბედ ადამიანის ხელი. ასე მოიქცა პროლეტარიატი ეკოეომიურ და პოლიტიკურ აღმშენებლობაში, სადაც მან ბურჟუაზიული ინტელიგენცია ტუნეკურ მთხელებების როლში გამოიყენა და ასე მოიქცევა ის კულტურულ შემოქმედებაშიც. ამგვარად ახალი პროლეტარულ შემოქმედება უნდა განვითარდეს ახალი და დამოუკიდებელი გზით, მაგრამ მან უნდა ამოწროს ძველ შემოქმედებიდან მთელი ის ძალა, რომელიც მას ახალ გზაზე სვლას შეუშუბუქებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ცდა წინდაწინვე დამარცხებასა და უნაყოფობაზე იქნება განწერილი. ა. ჭ.

მე არ ვფიქრობ ასე: „თავისიანობა“ მე არ მწამს. პარტიისთვის იქნება არ არის ეს ხელსაყრელი, მაგრამ ხალხის ყოფნა არ ყოფნის საკითხია, გამოინახოს სხვა გზა საქართველოს საკითხში.

II

ეს მივწერე მე ნ. ჟორდანიას და ამ პატარა წერილში არ ვადამიტანია საკითხი საერთოდ ბოლშევიზმ-მენშევიზმზე. ვამბობდი ხაზგასმით, რომ პარტიის მოქმედება საქართველოს საკითხში დატრიალდა რალაც საეკვო და ხელმოუკიდებელი იმედების წერაზე. ვგულისხმობდი სავარეო ინტერვენციას.

ნ. ჟორდანია მართალს ამბობს,—მენშევიზმის ტაქტიკური და პრინციპალური საფუძველი არ შეიძლება იყოს დამყარებული რალაც იმედებზე და ილიუზიებზეო“.

მეც მგონა აქამდის, რომ არ შეიძლება იყოს. მაგრამ ნ. ჟორდანია მართალს არ ამბობს:—საზღვარგარეთის იმედები, სავარეო ინტერვენცია არ ყოფილა „ჩვენი პარტიის მოქმედების ღერძათო“.

არ ყოფილა კი არა, იყო და არის. საქართველოს სოციალ-დემოკრატია თითონაც საზღვრობდა, ხალხსაც ასაზღვრობდა „იკაური“ იმედებით.—ვილაცა მოვა და გავგანთავისუფლებსო,—ასე იმედობდენ აქ ამ სამ წელიწადში, ახლაც ასე იმედობენ ზოგიერთები: სხვა ღერძი არ ქონებია და არც აქვს პარტიის მოქმედებას.

თუ ნ. ჟორდანიას ეს ასე არ გონია, ალბათ არ ახსოვს, რასაც თითონ სწერდა სხვათა შორის „ბრძოლის საკითხებში“: ქართული ერი უნდა შევიდეს საბოლოოთ ევროპის ოჯახში იქ კი შეიძლება მხოლოდ ბოლშევიკების ბატონობის დაცემით და თავისუფლების აღდგენით. ამის ნიადაგი უკვე მომზადებულია ჩვენში და ევროპაში. დასავლეთის მთელი დემოკრატია დიდათ დაინტერესებულია ქართული ხალხით. დიდ თანაგრძნობით ეპყრობა მას და მფარველობას უწევს. მას ის უკვე მიაჩნია თავის ნაქრათ, თავის ხორცათ და სისხლათ. მეორე მხრივ მთელი ქართველი ხალხი არ ურიგდება მოსკოვის ოკუპაციას, იბრძვის თავისუფლებისათვის და იხედება დასავლეთისკენ. ის იმედინათ არის. და ეს იმედი მას არ გაუცრუვდება (ნ. ჟორდანია: ბრძოლის საკითხები).

განა ეს სტრიქონები რალაც იმედებზე და ილიუზიებზე არ არი დამყარებული? განა აქ საეკვო და ხელმოუკიდებელი იმედებით არ უმასპინძლებდა ნ. ჟორდანია თავის მკითხველებს?

ის კარგად უნდა იცნობდეს სხვა მასალებსაც—საზღვარგარეთიდან მოსულ და ახლა ჩეკაში ჩაცვენილ წერილებს, თუ იცნობს, საბუთი აღარ ექნება თქვას, რომ საზღვარგარეთის იმედები, სავარეო ინტერვენცია არ ყოფილა „ჩვენი პარტიის მოქმედების ღერძათო“.

ნ. რამიშვილს ერთა ლიგაში შეუტანია

ძველი მთავრობის სახელით განცხადება რუსეთის ათერდიოლათ ცნობის დროს რუსეთს უნდა მოეთხოვოს ჯარის გაყვანა საქართველოდანო“. ნ. რამიშვილი ისე გულუბრყვილო არ არის, რომ საკმოდ მიაჩნდეს ცარიელი მოთხოვა ერთა ლიგის მხრივ: თუ რუსეთი არ დაეთანხმა? უნდა დაითანხმონ... ერთა ლიგამ უთუოდ უნდა მიიღოს სხვა ზომებიც. მე მგონია ამას არაფერი არ დაეკრძევა სავარეო ინტერვენციის მეტი და ამაში არაფერი არ არის „საეკვო და ხელმოუკიდებელი“ იმედების გარდა.

ბოლშევიზმის პატონობა საქართველოში ნიშნავს რუსეთის ბატონობას საქართველოზე—ხშირათ ამბობს ნ. ჟორდანია. ბოლშევიზმის მოცილება ნიშნავს მასსადამე, რუსეთის მოცილებას.

მერე ეს შეუძლია ქართველ ხალხს თავისით, განა ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, „ხალხის განთავისუფლება თითონ ხალხის საქმეო?“ — არა, მე ეს არ შემიძლია, ეს არ არის „თვით ჩემი საქმეო“—უთუოდ იტყვის ქართველი ხალხი.

ნ. ჟორდანია ხელდას პარტიის მოქმედების საფუძველს იმაში, რომ „ხალხი არ ურიგდება ბოლშევიკურ რეჟიმსო“.

ეს არის წმინდა წყლის სუბიექტივიზმი. მარქსისტული არაფერია ამაში. მარქსისტულ

*) „პოსლედნია ნოვოსტა“ 16 მარტი 1924 წ.

ათი წლის უბედობა

მოგავალი რაიის მოლოდინები

მის შემდეგ რაიი ადამიანი ირთქლისა და ელექტრონის ხანაში წესდება ფეხი—მისი ისტორიული ცვალებადობა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. უკანასკნელი მე XIX საუკუნე თავის მრავალსახეობით და საზოგადოებრივ ხასიათის მოვლენათა თავისებურებით—გაცილებით უფრო მდიდარი და მეტმნიშვნელოვანია, ვიდრე საშუალო საუკუნის, ან ანტიურ ქვეყნის ათეული საუკუნეობი.

რაც დრო მიდის, რაც მეტი ადამიანის მიღწევა ტენიკაში, რაც უფრო ახლოვდება კაპიტალისტურ ქვეყნის დასასრული, მით უფრო ჩქარა ტრიალობს ისტორიის ბორბალი, მით უფრო სწრაფად მივლენებით წინ.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ადვილს დაიპყრო კაცობრიობის ისტორიაში მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედი. დღეს ისტორია წლობით იწერება და არა საუკუნეობით.

ამ უკანასკნელ ხანაში ადამიანმა დაიპყრო წინაღ მისთვის ხელმოუწოდებელი—ჰაერი. დღეს მის თავისუფლად შეუძლია იამაყოს დედამიწაზე, ქვესკნელზე და ჰაერზე ბატონობით. დღეს ყველაფერი, სადაც მას თვალის მიუწვდება და რისი ხელითაც შეხება შეუძლია, მის განკარგულებაშია.

მაგრამ ტენიკისა და მეცნიერების მიღწევანი განსაკუთრებით იჩენს თავს ომის დროს, ომისა და ბარბარული, რომელიც თვალსაჩინოდ ხდის ის ბაღინებზე ღვას ამა თუ იმ სახელმწიფოს ტენიკისა და მეცნიერების განვითარებას.

რება. ომის სამსხვერპლოზე მოაქვს ბრძოლის მოგების აზარტით ვატაქებულ ბურჟუაზიას თავის ქვეყნის მიელი გონებრივი დოვლათი და შესაძლებლობა, ომი თანამედროვე ტენიკით და მიღწევებითა წარმოებული არის იმპულისი, რომელიც კიდევ უფრო აჩქარებს ისტორიის წინსვლელობას.

1914—1918 წლის იმპერიალისტურმა ვაქბანალიამ მსოფლიოს ისტორია რამდენიმე ათეული წლით გადაისროლა წინ. 4 წლის იმპერიალისტურმა ომმა ტანჯებით, წყალქვეშებით, ჰაერობლანებით და გაზებით უფრო წინ წასწია, უფრო მეტი ცვალებადობა შეიტანა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ვიდრე მანიალის, ალექსანდრე მაკედონელის ან თვით ნაპოლეონის ომებმა.

ტენიკის და მეცნიერების განვითარება კი ისევე თავის გზით მიდის წინ. კაპიტალისტურ საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობა უფრო და უფრო მწვავედება. დღეს თუ არა ხელაგავარდება მეგი; ადრე თუ გვიან კვლავ დაიწყება კაცობრიობის განმანადგურებელი კოცონი. რამდენ საშინელებას, რამდენ ვაებასა და ტანჯვას მიაყენებს ის ჯერ კიდევ მოუწუმებულ ტევილებს.

მეტოქის ჯადოსნური სხივები, გაუმჯობესებული შხამიანი ვაზები, ჰაერობლანების ყუმბარები, ამფეთქებელი დინამიტები—ერთი სიტყვით მთელი დედა-მიწა ბრძოლის ასპარეზად უნდა გადაიქცეს, ომის ცელს ვერ დაემალება ამ ქვეყნის ვერც ერთი ნაქერი. ომის ავი სული მოიცავს დიდს და პატარას, მიხუცს და ახალგაზრდას.

ეს იქნება საერთოკაცობრიული, მთელი ჩვენი, დედა-მიწის, პლანეტის ომი. ამას უქადის დღეს კაცობრიობას ბურჟუაზიის განუყოფელი ბატონობა. აქეთ მიჰყავს ის კაპიტალისტურ საზოგადოების მესვეურთა თავალებულ ავაზაკობას. კაცობრიობის ისტორიას—ჯერ არნახულ განცდის წუთებს უშვადებს ბურჟუაზია.

მაგრამ აქ არის სწორედ საჭირო პროლეტარიატის სიფრთხილე და წინდახედულობა. განვლილი მავალითები, უკვე შექმნილი ძალთა-ურთიერთობა მას საშვადებს აძლევს ლეგალი ამოსდოს ბურჟუაზიის თავდასულობას. საბჭოთა კავშირი—აი, ის მალობი, რომლის ვარშემოც თავს დაიყრის მთელი მშრომელი ხალხი, წითელი ლაშქარი—აი ის რისხვა, რომელიც თავს დაატყდება ბედისგან ატროვებულ ბურჟუაზიას.

მეცნიერება და ტენიკა-კი პროლეტარიატის ხელში ახალ დანიშნულებას მიიღებს. კაცობრიობის განადგურების ნაცვლად—მის მიზნად გადაიქცევა კაცობრიობის სამსახური და სარგებლიანობა. სიკვდილისა და ნგრეველარბების ნაცვლად—მის ამოცანად შეიქმნება—სიკაცებისა და აღმშენებლობის ხელისშეწყობა და განვითარება.

პროლეტარიატი არის ის კლასი, რომელიც კაცობრიობის მიერ დაგროვილი მთელ გონებრივ და ნივთიერ სიმდიდრეს ბოლოს და ბოლოს დააყენებს თავის დანიშნულების სწორ გზაზე, რომელიც იხსნის კაცობრიობას ბურჟუაზიის მიერ გამოზდილ ხიფათისა და განსაცდელისგან.

ასეთია წარსულ ომისაგან შექმნილ პირობათა აუცილებელი შედეგი. ამას გვეუბნება ჩვენ ისტორიის ლოღიკა.

ძველთაგანი.

პარტიას არ შეუძლია მარტო სურვილებზე და სულიერ განწყობილებაზე აავსოს თავისი ტაქტიკა.—შენ გინდა, გსურს, მაგრამ ეს არ კმარა, ხელს უნდა გიწყობდეს კიდევ ობიექტიური პირობებით.—აი რას ეუბნება ხალხს ნამდვილი მარქსისტული პარტია.

მე მიხარია, რომ ნ. ჟორდანია თავის უკანასკნელ, როგორც ეტყობა, ნაქარებ წერილში („ჩემი პასუხი“) უკვე აღარ იძლევა საგარეო იმედებს. მაგრამ დაუფლდით ყური, რა უნდა იყოს მისი აზრით საქ. ს.დ. პარტიული ტაქტიკის საფუძველი.

—თუ ხალხს უნდა თავისუფლება, ამას იგი ადრე თუ გვიან მიიღწევს.—საქართველომ ხომ საქვეყნოთ აღიარა თავის სურვილი იყოს სუვერენული და დამოუკიდებელი. მაშასადამე მას არაფერს თავზე არ ვახვეთ, მხოლოდ ვუბნებით, ჩააფრინდით მაგრათ ამ თქვენ თვითგამორკვევას და მივიყვანთ სამშვიდობოზე. ეს არის გზა ისტორიულიათ ჩვენნი განვითარების და ბრძოლისა“.

თითქო ხალხის სურვილებზე დამოკიდებულ ხალხის განვითარების გზა, თითქო მეტი არაფერია საჭირო, ოღონდ უნდოდეს, ოღონდ ჩააფრინდეს მაგრათ თავის სურვილს.

ნ. ჟორდანია მთავარი ძარღვი საქართველოს სოციალ-დემოკრატიის და ვერადების ვერ ამბობს ობიექტიური პირობების შესახებ.

ხალხის შეურიგებლობა კი იმაში იხატება, რომ ის ელის დღიდან დღეზე, ის დღეს-ხვალ ელის ნ. ჟორდანისაგან, პუნჯარესაგან, კერზონისაგან, მაკონალდისაგან. ხალხის თავში აბრია ყველაფერი. უფხარით ხალხს,—შეიძლება „განვლოს წლებმა“—თქო და მაშინ გაუ-

ზომით შეურიგებლობის სიციხე, აუწვევს მაღლა, თუ ჩამოფარდება ძირს.

ნ. ჟორდანისათვის საქართველოს საკითხში მეორე ხარისხიანია დრო, ხოლო იმ „ბრძოლაში“, რომელსაც აწარმოებენ აქ ს. ს.დ. ცენტრალური კომიტეტი და პარტიული კომიტეტი, დრო პირველ ხარისხიან საკითხად დგას. ეს „ბრძოლა“ მიზომილია დღეებზე, დილი, დილი თვეებზე“ და ამნაირ ბრძოლის „ხაზს“ აქამდის ხელს უწყობდა ევროპის ფოსტა

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას რომ შესემნილი ქონებოდა,—„შეიძლება განვლოს წლებმა“, მაშინ ბრძოლა დარჩებოდა იდეურ პოლიტიკურ ხაზზე, ადგილი აღიარებოდა ავანტიურას, ვახრწნას. პარტიამ დაჰპარა მარქსისტული გზა და პრინციპი აჰყვა სტიქიას, სურვილებს, სხვა ვერადები ნახა ხელმისაქვლებელი და ჩავარდა უფსკრულში.

სეთი დევდარიანი.

(გაგებლება იქნება).

*) ს. ს.დ.მ. პარტიის ცენ. კომიტეტის უკანასკნელ ფურცელში ვკითხულობთ:

—ქართველმა ხალხმა კარგათ იცის, რომ რუსეთის საკითხთან ერთად ევროპის დღიურ წესრიგში დგას საქართველოს საკითხი, და ამ გარემოებას ვერსად გაუქვეყნა რუსეთის წითელი დერტიმორდები, იცა უნდა ყალბი ცნობებმა თხან თავიანთ ავანტიურის საშუალებით... მაღე ლონდონში გაიხსნება კონფერენცია და ინგლისის დემოკრატიის წინაშე წარსდება მოსკოვის ტრინაინლი ხელისუფლება, რომელმაც ხელები საქართველოს ხალხის სისხლთ შევიდა. უკვედელია, ინგლისის მუშათა მთავრობა მოსთხოვს თავის ძველ ვალებს, და იმ ხელშეკრულებათა ასრულებას, რომელთაც საერთაშორისო ხასიათი აქვს, საქართველო უკვე ცნობილია ევროპის მიერ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, და ამ გარემოებას ვერაფერ უარყოფს დღეს გარდა აშკარა მოძალადეებისა... საქართველოს განთავისუფლების დღე მთა ხ ლ თ ე დ ა... საქართველო უნდა ვათავისუფლდეს და განთავისუფლდება კიდევაც.

ომი კვლავ გრძელდება.

უკვე მეორე ათეულში გადავდევით. ომი-კი კვლავ არ შეჩერებულა... ომი კაპიტალისტურ ქვეყნების შორის.

რა უყოთ რომ შესწყდა ბრძოლა გალიციის მინდვრებზე და ვისლის ნაპირებზე, რა უყოთ რომ აღარ ისმის თოვის ხმა იპრის და მასის ველებში.

სამაგიეროთ ბრძოლის ყიფინა, ომის ციცილი დღესაც არ დამქრალა. მისი არსებობის მაუწყებელია დღევანდელი ლონდონის კონფერენცია, რომელიც სწორედ ათი წლის თავს შეხვდა.

ბრძოლის ასპარეზი 1918 წ. შემდეგ იპრიდან და გალიციიდან ვერსალში, ვაშინგტონში, ლონანაში, ჰენუაში და ლონდონში გადავიდა. ფომისა და ჰინდენბურგის ადგილი, ფრენჩისა და ფრანშე-დესპერეს როლი დღეს მაკონალდ, ერიო, იუზმა დაიჭირა.

ომი კვლავ გრძელდება. კაპიტალისტური საზოგადოება—თავისთავად განუწყვეტელ ომის საზოგადოებაა. კერძო საკუთრებაზე აღმოცენებული, კონკურენციის და მეტოქეობის ფიქიკოზით შეპყრობილი ბურჟუაზიული საზოგადოება—იგივე ომის და ბრძოლის საზოგადოებაა.

დიპლომატიური კუჭუ-მალაობა, მეგობრობაზე ფიცი, კაცთმოყვარეობაზე და სათნოე-

* * *

მეზღვეურო, შენ თუ გესმის უცნაური ეს სიმღერა
ნუ, ნუ გჯერა,
რომ მასშია სიმართლის ხმის მოწოდება.

ეს წივილი და გოდება
სირინოზის არის და შენ—გაუფრთხილდი, მოერიდე;
ჩამოპფლითე ამ ჰიმნს რიდე
და მაშინ კი: დაინახავ შენ, რომ ეს ხმა
ჯოჯოხეთის არის შესხმა.

მეზღვეურო, არ დაენდო.
ბრძოლის ცეცხლი კვლავ აენთო.
უნდა მსხვერპლი
კერპთ წინაშე დანაფრთხილი.
ო, რამდენი მეზღვეური ლომის გულით, რკინის მკლავით
მან დალუბა ამ ჰიმნების საწამლავით
და ნუ გჯერა
ეს სიმღერა.

მეზღვეურო. გასწი ამ გზით... ხედავ როგორ გეხმარება
ზღვის ტალღების მდინარება...
სირინოზის ჰიმნს არ ენდო...
შენ ახლოს ხარ... ნავთსადგურში ჩირაღდანი, ჰა, აენთო—
და ნუ გჯერა მაცდურის ხმის,
ეს სიმღერა.

კონავარდე.

ბაზე ლაპარაკი. ამავე დროს-კი ჯიბეში გაღე-
სილი დანა მოწინააღმდეგის ჩასაცემათ, გულ-
ში შეურიგებელი მტრობა. ასეთია კაპიტალი-
სტურ საზოგადოების ბუნება.

მოკავშირეთა გოდებასა და ჩივილს პოტენ-
ტოტ გერმანელების ველურობის შესახებ—დასა-
სრული არ ჰქონდა მთელი ომის განმავლო-
ბაში. ისინი ყველა დაზარალებულ და შევიწროე-
ბულ ერთა მესარჩლოვბას იჩემებდენ და ქვე-
ყანას ბოროტებისგან განთავისუფლებას ეფი-
ცებოდენ.

მაგრამ ჯერ კიდევ უკანასკნელ თოფის ხმა
არ დაღუმებულეყო, როცა მოკავშირეებმა თვით
ჩიდიდინეს, რის წინააღმდეგაც თითქმის ასე თავ-
გამოდებით იბრძოდენ. საკუთარ ახალშენთა
ხალხზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი შეიქნია. გა-
მარჯვებით გათამამებულ საფრანგეთ-ინგლის-
სის იმპერიისლიხმმა აქ მტკიცედ გაიდგა ფეხი
და განუკითხავი ბატონობა დაიწყო. გერმანიის
კოლონიები-კი იმისდა მიხედვით დაიყვეს ვის,
როგორ ემარჯვებოდა ამა თუ იმ ახალშენის.
ჩაყლაპვა და საკუთარ ბატონობის თათი ქვეშ
მოქცევა. დღეს მთელი აფრიკა საფრანგეთ-
ინგლისის კაპიტალის საწველი ფურია.

საქმე ამით არ გათავებულა, მოკავშირეთა
სიყვარულის თაფლის თვეებს მიღე მოელო
ბოლო. საჭირო შეიქნა ძალთა ახალი გადაჯგუ-
ფება ინტერესთა ახალი წინააღმდეგობის მი-
ხედვით.

დაეცა ერთი მოწინააღმდეგე, მოშორდა
ინგლის-საფრანგეთს საშიშარი მეტოქე გერმა-
ნიის სახით.—მაგრამ თვით მოკავშირეთა
შორის დაიბადა ახალი, არანაკლები წინააღ-
მდეგობანი.

ომი დიპლომატიური, ომი ნოტებისა და
საიდუმლო ხელშეკრულებების, ომი კაპიტალურ
მახინაციებისა ძველი სიცხოველით გრძელ-

დება. იარაღის, თოფ-ზარბაზნის ქექა-ქუხილი
კონკურენციებმა და თათბირებმა შესცვალეს,
კონფერენციებმა და თათბირებმა—კვლავ თო-
ფისა და ზარბაზნის ქექა-ქუხილი მოჰყვება.
ასეთია ბურჟუაზიულ საზოგადოების ცხოვრე-
ბის კანონი. ამ გზით მიდიდა ის მთელ თა-
ვის არსებობის ხანაში და ამ გზაზედ დააღ-
მებს თავის სიცოცხლის დღეებს.

ამიტომ არის სწორედ, რომ ერთიც და
მეორეც, საფრანგეთიც და ინგლისიც, გააფრთე-
ბით ემზადებიან მომავალ ომისათვის. ამიტომ
არის, რომ ასე უხუთავს სულს ინგლისის ბურ-
ჟუაზიის საფრანგეთის საშხედრო ძლიერება
ამიტომ არის, რომ ვერ მოუწლებია მას „მე-
გობარა“ საფრანგეთის საჰაერო ფლოტის ასე
უსასღერო ზრდა.

საერთაშორისო განიარაღებაზე მოლაპარაკე
ბურჟუაზია ახალ დრედნოუტების და ჯაგშნო-
სნების აშენებას უღდება, კაცთმოყვარეობაზე
და საერთო მშვიდობიანობაზე მოლაპარაკე
კაპიტალისტები—კაცობრიობას ჯერ არ ნახულ
კატასტროფას უმზადებენ. არასოდეს არ ყო-
ფილა დედა-მიწაზე იმდენი ასაფეთქებელი და
ადამიანის განმანადგურებელი მასალა, რამდენ-
იც დღესაა.

მსოფლიო ბურჟუაზიის თავის გასართობათ
არ დაუშვადებია ის. ადრე თუ გვიან უნდა
ალაპარაკდეს კვლავ თოფ-ზარბაზანი, ადრე,
თუ გვიან უნდა გაიყლინოს ჰაერი გესლიან
გაზებით, ადრე თუ გვიან უნდა ვადგეს სისხ-
ლის ნიაღვარი.

უსისხლო ბრძოლას, კონფერენციებს და
თათბირებს, სისხლიანი შეტაკება მოჰყვება.

ამის თავდები იყო ვაშინგტონი, ჰაავა, ჰე-
ნუა და ლოზანა. იმის თავდებია დღეს ლონ-
დონის კონფერენცია.

ომი არ გათავებულა. კაპიტალისტური სა-

ზოგადობა ომის დაუშრეტელი აუზია. მუშათა
კლასს, მშრომელ გლეხობას კვლავ დიდი საფ-
რთხე და განსაცდელი მოეღის, თუ მან თავის
თავს დროზე არ უპატრონა.

მას უნდა ახსოვდეს, რომ უკვე მეორე ათე-
ულში გადადევნეთ, რომ ბურჟუაზია მაინც კი-
დევ არ ყრის აიარღს. კ. შე—ლი.

ათი წლის შედეგი

ომის დაწყების შემდეგ გავლილმა ათმა
წელმა ძირბუდიანათ შეარყია საერთაშორისო
ეთიარება და საზოგადოებრივ ურთიერთობაში
ბევრი ცვლილებები შეიტანა.

პირველყოვლისა აღსანიშნავია ევროპის
პოლიტიკურად გადასხვაფერება. მთელ რიგ
სახელმწიფოებში დაეცა უკვე დიდი ხნიდან ძირ
გამომავალი მონარქია და ბურჟუაზიულ პარ-
ლამენტარიზმა შეისხა ფრთები. ავსტრია-ჰუნ-
გრეთი, გეტმანია, ბულგარეთი, რუსეთი და
ოსმალეთი. აი მთელ სახელმწიფოთა რიგი,—
სადაც ფეოდალურ წყობილების შემორჩენილი
ნაშთი, რომელსაც კარგა ხნიდან ჰქონდა და-
კარგული ფესვები ცხოვრების სინამდვილეში,
საბოლოოდ გადავარდა და მისი კვლავ და-
ბრუნების იმედი ტყუილ ოცნებათ გადაიქცა.
თვით ინგლის-საფრანგეთში, თუმცა ქვეყნის
საქე კვლავ ბურჟუაზიის უტირავს ხელში, მა-
გრამ იგივე ბურჟუაზია იძულებული შეიქნა
სისწორე მარცხნივ დაეჭირა და მართვა-გამ-
გეობის სადავე თავისივე წრის რადიკალურ
მიმდინარეობის წარმომადგენლებისათვის გა-
დაეცა.

ერთი მოსვლა საფრანგეთის მთავრობის სა-
თავეში და მაკდონალდის ინგლისის კაპიტლის
ხელმძღვანელად ვახდობა იმის საუკეთესო და-
მამტკიცებელია, რომ ევროპის თანამედროვე
ბურჟუაზია, შექმნილ პირობების გამო, იძუ-
ლებული ხდება პოლიტიკურ ასპარეზზე თავის
მარცხენა ხელი იმლოცაფიოს.

მაგრამ პოლიტიკურ ცვლილებათაგანთან ერ-
თად დასავლეთ ევროპას ამ ათი წლის განმა-
ვლობაში ეკონომიურადც ეცვალა ფერი.
ითხი წლის დაუტხრომელმა ომის ცეცხლმა
ათეულ წლობით ნავროვები დოვლათი შთან-
თქა და გააპარტახა. დასავლეთი ევროპა დღე-
საც შორს არის იმ მდგომარეობიდან, რომე-
ლშიაც ის 1914 წლამდე იყო.

სამაგიეროდ ევროპის გაუბედურებაზე ხელი
მოითბო ამერიკის კაპიტალმა, ევროპის დაუ-
ძლურების ხარჯზე გაძლიერდა ამერიკის შე-
ერთებული შტატები.

დღეს აღარავისთვის საღაო არ არის, რომ
საერთაშორისო ასპარეზზე ბატონობის სასწო-
რი ამერიკისაკენ გადაიხარა. დღეს თვით ევ-
როპის მსხვილ სახელმწიფოთა წარმომადგენე-
ლნიც აშკარათ ხედავენ, რომ ამ ათი წლის
განმავლობაში ამერიკის შორეულ კონტინე-
ნტზე გაიზარდა ძალა, რომელსაც ამერიკიდან
იძლევა პირველი და გადამწყვეტი ხმა მსოფ-
ლიო ბაზარზე და საერთაშორისო ურთიერთო-
ბაში.

ამის რეალური, ხელშესახები საბუთია ის
თამასუქი, რომლის ძალითაც დღევანდელი ევ-
როპა მოვალეა გადაუხადოს ამერიკის კაპი-
ტალს ასეული მილიონი დოლარები.

დღევანდელმა ლონდონის კონფერენციამ, და ამერიკის იქ განუყოფლობა დირიჟორობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წასულ იმპერიალისტურ ომის შემდეგ ევროპამ დაჰქარაპირველობის დადნის გვირგვინი და ის შეერთებულ შტატების ხელში გადავიდა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თუ ამერიკის ბურჟუაზიის გაძლიერებას კიდევ შეეძლო შერიგებოდა ევროპის გაბატონებული კლასები, მას არ შეეძლო ახალი მოვლენის გულგრილად ცქერა და მის გვერდით სულდამშვიდებით მეზობლობა.

ეს მოვლენა იყო რუსეთის ოქტომბრის რევოლუცია და მისგან წარმოშობილი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა ამ სახელმწიფოს ფარგლებში. თუ ამერიკის სასარგებლოთ გავლენის დაკარგვა მას კიდევ საბოლოოდ არ უჭარწყვლდება იმედს, რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოების სტიქიურ ბუნებას კვლავ შეეძლო ევროპის ხელში მსოფლიოს ჩარხის დაბრუნება, რუსეთის რევოლუციამ მას არა მხოლოდ პირველობის დაფნა გამოჰკლიჯა ხელიდან— ოქტომბრის გადატრიალებამ მსოფლიო ბურჟუაზიას ყოფნა-არყოფნის საკითხი დაუყენა წინ

ამ ათი წლის განმავლობაში, ომისა და რევოლუციის ქარტახილის პროცესში შეიქმნა და გაძლიერდა ისეთი სახელმწიფოებრივი ერთეული—როგორც საბჭოთა კავშირია.

ისტორიას არ ახსავს ჯერ ასეთი მართვადამებობის სისტემა და პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც მუშურ-გლეხური სახელმწიფოა. ამ ათმა წელმა საბჭოთა რესპუბლიკების სახით ძველი საზოგადოებრივ ურთიერთობის კედელი საბოლოოდ გაარღვია.

საბჭოთა კავშირთან ერთად, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამთან მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე წარმოიჭრა კითხვა ახალ საერთაშორისო რევოლუციურ ორგანიზაციის შექმნის შესახებ. მეორე ინტერნაციონალი ჩაჰქოლა თოფ-ზარბაზნების ქუხილმა და წალკა ბრძოლის ველზე გამდგარ ნიაღვრამ.

მეორე ინტერნაციონალის არსებობას საბოლოოდ დაესვა ჯვარი და მის ნანგრევებზე აღმოცენდა საერთაშორისო რევოლუციის ახალი შტაბი კომუნისტურ ინტერნაციონალის სახით.

დღეს ის რისხვა და მეხია მსოფლიო ბურჟუაზიისათვის, მაგრამ ამავე დროს იმედი და გზის მნათობი მსოფლიო ჩაგრულ ხალხისათვის ათი წლის ისტორიამ განვიღო ტანჯვისა და ვაების ნაცვლად ეს საჩუქარი უძღვნა საერთაშორისო პროლეტარიატს.

გავიდა ათი წელი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ცხოვრება ჩქარი ტემპით ვარბოდა წინ. ის თვებით, დღეობით და საათობით იცვლიდა.

დღეს ნაწილობრივ გარღვეულია კაპიტალიზმის მთლიანი ფორტი, დღეს მსოფლიო ბურჟუაზია აღსასრულის მოლოდინში მარცხენა ფეხზე სდგას.

ადრე თუ გვიან ეს ფეხი გამოეცლება მას. დამდევნი ათი წელი, რომელშიც ესლა გადავწყვიტო ჩვენ, ამის სასარგებლოთ იმუშავებს.

ა. მაისურაძე.

ქიმიური ომი

ხარდალის აირი*).

წარსულ იმპერიალისტურ ომში ნახმარ საბრძოლო აირთა შორის ყველაზედ საშიშნელი იყო ე. წ. ხარდალის აირი, რომელსაც „აირების მეფეს“ უწოდებენ. ხარდალის აირი მეტად მკვრივი შეერთებაა და მას იმგვარი თვისებები აქვს, რომელიც მას მეტად ძვირფასად ხდიან სამხედრო საქმეში.

ეს თვისებანი გამოიხატება იმაში, რომ ამ აირისაგან ადამიანის კანი იწვის და მათე ისეთივე იარები ჩნდება, როგორც გავარვარებული რკინით დადაბულ კანზედ ხოლმე. ამ აირის მკირეოდენ ორთქლსაც კი ისეთი ბებერები და ტკივილები შეუძლიან გამოიწვიოს, რომ მოსარჩენად ერთი კვირიდან დაწყებული სამი თვეა სჭირო.

ხარდალის აირი იმიტომ ჰქვიან, რომ თავის სუნით მოგვაგონებს ხარდალს („გარჩიცას“) ან ნიორს. ფრანგები ამ აირს „აირიტს“ ეძახიან, ვინაიდან გერმანელებმა იგი პირველად მათ წინააღმდეგ მდ. იპრთან იხმარეს. ამ აირის ერთი თვის მოხმარებამ იმხვევრალა იმდენი კაცი, რამდენიც 1917 წლამდე სხვა აირებისაგან იყო მოწამლული.

ხარდალის აირი უფერო, ზეთისმაგვარი სითხეა, ხარდალის („გარჩიცის“) სუსტი სუნით. წმინდა ნივთიერების სუნის წიწმაცის სუნს მოაგონებს. მიუხედავად ამ სუნისა, ხარდალის აირი ჰაერში შეიძლება სახიფათო რაოდენობით შედიოდეს და მისი ყნოსვით გაგება კი არ შეიძლებაოღეს.

ხარდალის აღმოსაჩენად თავდაპირველად ერთად ერთი საშუალება—ყნოსვა—იყო, შემდეგში, როგორც მოკავშირეებმა, ისე გერმანელებმაც გამოიხატეს ხელსაწყობები. გარმანელებს ჰქონდათ ყვითელი ნივთიერებით დაფარული დაფები, რომელიც ხარდალის აირზე შეედებოდენ, მოკავშირეებმა თავის მხრივ ყვითელი ფერის საღებავი გამოიჭინეს, რომელიც ხარდალის აირისაგან სწრაფად იცვლიდა ფერს და მუქ-წითელ ფერისა ხდებოდა.

მხოლოდ ბრძოლის ველზედ არსებულ პირობებში, ვერც ერთი საშუალება ვერ შეედრებოდა კარგად განვითარებულ ყნოსვას.

იმპერიალისტურ ომის ბოლოში განზრახული ჰქონდათ ხარდალის აირით გავსებული ბალონების მიწაში ჩაფლა და მტრის შეტევის დროს მისი აფეთქება, როდესაც მოწინააღმდეგე ამ ზოლში შევიდოდა. ომი დასრულდა— ეს საშუალება არ იქმნა მოხმარებული, მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამას მომავალში უეჭველად მიჰმართავენ. ამას გარდა, განზრახული ჰქონდათ მთელი რაიონების ხარდალის აირით მოწყვება. უეჭველია ვინც ამ სივრცეში ფეხს შესდგამდა, კარგი დღე არ დაადგებოდა.

ხარდალის აირი ადამიანზედ დაგვიანებით მოქმედებს და შედეგი გამოიწვევა მისი მკირეოდენი რაოდენობითაც კი, რის გამო მომავალში მის დიდი წარმატებით მოიხმარენ.

მომავალ ომში მოსალოდნელია მკვიდრი სიმაგრეების საწინააღმდეგოთ ხარდალის აირი ზვიდან ჩამოუშვან ხოლმე და მით მოწინააღმდეგე აიძულონ დასტროვის სიმაგრე.

გ. ბარნაბეშვილი.

*) ხარდალის აირი—Горчичный газ.

აზხ. ილიჩის „პირადი საკმე“

აზხ. ილიჩის პირად საქმეში მოიპოვებოთხი დოკუმენტები, რომელიც თავის ენიშენელობით განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს ამ ჰენოს აღმდინანის დახასიათებისათვის. აზხ. ი. ლაზიანი მოსკოვის „პრავდაში“ ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

ილიჩის ჩამომავლობა.

აქ შედის კითხვები: „გვარი, სახელი, მამის სახელი“, „წლოვანობა“, „სადაური ხარ“, „მშობლების ხელობა“ და სხვა. ეს კითხვები თითქმის ეხლა ყველასათვის ცნობილია. ილიჩის თანდათანობითი პასუხი ასეთია: „ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი“. „50 წლის“ (ანკეტა შევსებულია 17 სექტემბერს 1921 წ.) „ქალ. სიმბირსკი“, „მასწავლებელი“ და სხვა.

დიდ ინტერესს წარმოადგენს შემდეგი ჯგუფის კითხვები:

2. ილიჩის საერთო განათლება.

კითხვათა მეორე სერია ეხება ილიჩის საერთო განათლებას. პირველ ანკეტის კითხვაზე: „რა განათლება გაქვთ მიღებული“—ვლად. ილიას-ძე უპასუხებს: „გვიმნაზია. ექსტერნათ ჩავაბარე უნივერსიტეტის ეგზამენი 1891 წელში იურიდიულ ფაკულტეტზე“.

ძალიან დამახასიათებელია ილიჩის პასუხი უცხო ენების ცოდნის შესახებ. პირველი ანკეტის კითხვაა: „რუსულის გარდა რომელ ენაზე ლაპარაკობთ, კითხულობთ, და სწერთ“.— „ფრანგულზე, გერმანულზე და ინგლისურზე. სამივე ცუდად“—უპასუხებს აზხ. ლენინი. მეორე ანკეტაში ესავე კითხვა დასაშუალოდ შემდეგნაირათ: „რუსულის გარდა, რომელ ენაზე ლაპარაკობთ თავისუფლად“. ილიჩი უპასუხებს: თავისუფლად არც ერთზე“. ეს პასუხი მრავალგვარ საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებზე და კრებებზე წაითხულ მოხსენებების ავტორის პირში, რომელიც მოხსენებებს ევროპის უმთავრეს ენებზე აკეთებდა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ თავის თავდაბლობით ილიჩს თანასწორი არა ჰყოლია.

ამ კითხვათა სერიის შემდეგი პარაგრაფი ამბობს: „რა წაგიკითხავთ თქვენ მარქსის, ენგელსის, ლენინის, კაუტსკის და პლეხანოვის თხზულებებიდან“. ილიჩი უსვამს ხაზს ორჯერ ყველა დასახელებულ ავტორებს ლენინის გარდა და უპასუხებს: „თითქმის ყველაფერი“ და აქვე უმატებს ფხიბვლებში: „ხაზასმულ ავტორებისგან“. შემდეგი კითხვები, რომელსაც ანკეტა უყენებს ილიჩს, რამდენიმედ სახუმაროდ მოსჩანან:

„რა ტემაზე შეგხვედრიათ თქვენ გამოსვლა მუშებისა და გლეხების წინაშე ან წაგიკითხავთ ოქციები?“. „უშეტეს ნაწილად პოლიტიკურზე“, თითო-ო-ს ღიმილით უპასუხებს ილიჩი. „სწრაფათ თუ არა თქვენ სტატებს გაზეთებში“.— „იშვიათა, პოლიტიკურ ტემაზე“. შემდეგ იმავე ანკეტადან: „შეგიძლიათ თუ არა ფურცლების და მოწოდებების წერა და რა გაქვთ თქვენ ამ დარგში დაწერილი“.— „კი. ჩამოთვლა შეუძლებელია, კი გვარიანათ იყო“, გულკეთილად უპასუხებს ილიჩი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ კითხვაზე: „რა გაზეთებს და

ქურნალებს კითხულობდით 21 წ., რეგულიარულად თუ შემთხვევით“,—ილიჩი უპასუხებს,— „არარეგულიარულად“.

მრისხანედ დასმულ კითხვაზე: „გავივლიათ თუ არა პოლიტგრაზმობის სკოლა და რა საფეხურის“, ილიჩი დუმილით უპასუხებს.

3. ციხე, გადასახლება, ემიგრაცია და კრ-ლოზა.

პირველი ანკეტის 29 პარაგრაფი ეკითხება: მოხვდით თუ არა პოლიტიკურ დანაშაულისათვის რეპრესიებში, სად და როდის, როგორი სასჯელი მოგიხდიათ. წერილი ხელთნაწერი, თითქმის თვითმოდ სიტყვის შემოკლებით, ისე როგორც მთელ ანკეტაში, ამხ. ილიჩი აქაც უპასუხებს: „1887 წ. შუა ხანებში (რამდ. დღე); 1895—1897 წლებს შუა (14 თვე) და გადასახლება 3 წლით ციმბირში. 1900 წელში (რამდ. დღე)“.

ყოფილხართ თუ არა საზღვარგარეთ, როდის და სად.—ამ კითხვაზე ჩვენ გვაქვს შემდეგი პასუხი: „1895, 1900—1907 წ. ემიგრაციაში (შვეიცარია, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ჰოლანდია)“.

მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც ეხება ილიჩის ჯარში მონაწილეობას, მის სამხედრო მომზადებას და შესწავლას, მასიურ აჯანყების გენიალური ორგანიზატორი და სტრატეგი მოკლედ უპასუხებს: „არა“. ზედმეტია იმის სხეცა, რომ ორთავ ანკეტაში კითხვაზე: „იყავით თუ არა თქვენ დაქირაობა?“—ვლად. ილიას ძე დუმილით უპასუხებს. პროლეტარულ რევოლუციის სამაგალითო რანდი და შეუღარებელი ჯარისკაცი ცხადია ზედმეტათ სთლიდა იმ ჭრილობის ხსენებას, რომელიც კუთხიდან მოლაღატურად ჩასცა სახიზლარ და საძაგელ მტრმა.

(ეს სამწუხარო ფაქტი ილიჩის არ უნდა დაუკავშიროს რევოლუციურ პარტიის ანკეტის კითხვებს.)

ილიჩი და რევოლუცია.

მეორე ანკეტის კითხვაზე: „მივიღიათ თუ არა მონაწილეობა სტუდენტების მოძრაობაში“, ილიჩს ფრჩხილებში ჩაუსვამს: („1887“).

შემდეგ: „მონაწილეობა იატაკ-ქვეშ მომუშავე წრეებში.“ პასუხი—„ბევრი“. საინტერესოა ამხ. ლენინის პასუხი პირველ ანკეტაში. მოგვყავს მისი ხელით ნაწერი. კითხვა: „რაში გამოიხატებოდა თქვენი მონაწილეობა თებერვლის რევოლუციაში?“ ილიჩი უპასუხებს: „საერთო პარტიულ მუშაობის გარდა, არაფერი“. ნუ თუ საჭირო იყო მეტი? რევოლუციის შემდეგი განვითარების მოსამზადებლად, ნუთუ საჭირო იყო იყო პროლეტარიატის ბელადისათვის საერთო-პარტიული ბალშევიკური მუშაობა?!

კიდევ უფრო საყურადღებოა ოქტომბრის რევოლუციაში მონაწილეობის პასუხი. აი ის: „ცეკას წვერი“. რა საჭიროა ზედმეტი სიტყვები, როდესაც ბოლშევიკი ლაპარაკობს და ამასთანავე ყველაზე უკეთესი ბოლშევიკი, რომ „მე ცეკას წვერი“ ვარო—ამიერ პარტიისათვის უკვე ნათქვამად უნდა ჩათვალოს ყველაფერი.

ჩვენ ვიცით რას აკეთებდა, აკეთებს და უნდა გააკეთოს რევოლუციაში ბოლშევიკურ პარტიის ცეკას წვერმა. ილიჩის ანკეტა ხომ რ. კ. პარტიისათვის არის დაწერილი.

ილიჩის დოკუმენტი. რ. კ. პ. ისტორია— მეტისმეტად სასტიკი პირველი ანკეტა, უსვამს ილიჩს კითხვას: „ხომ არ შესულხართ რ. კ. პ. პარტიულ კვირაში“. აქაც ილიჩი წყნარად უპასუხებს: „არა“. შემდეგი კითხვა: „რომელ იაჩიკაში ხართ წვერა?“—„კრემლის ქვერაინი“. შემდეგ სხვა პარტიებში მონაწილეობის შესახებ. პასუხი: „არა“, მეტად საინტერესოა ილიჩის პასუხი მის პარტიულ სტაიის შესახებ. პირველი ანკეტის კითხვა: „რომელი დროიდან იმყოფებით რ. კ. პ.“—„დაარსებიდან და აღრეც (1893)“.—უპასუხებს რ. კ. პ. დამაარსებელი.

ყველა ანკეტებში, სხადც ლაპარაკია ძირითად პროფესიაზე, ილიჩი თითქოს დიდი ხალისით უპასუხებს: „ლიტერატურა, ცხოვრობდი ლიტერატურულ შრომით.“ ან კიდევ: „სხვათაშორის შემოსავლით;“ „ლიტერატურის“ და ამასთანავე გულმოდგინეთ გაურბის სადაც კი ეს შესაძლოა, სიტყვას: „სოცნარკომის თავმჯდომარე“.

ამავე მხრივ მეორე ანკეტაში ჩვენ გვაქვს მეტად დამახასიათებელი პასუხი საკუთარ მდგომარეობის შესახებ ორგანიზაციაში. ილიჩი თავის მდგომარეობას ორგანიზაციაში აღნიშნავს ბოლშევიზმის ისტორიაში ცნობილ სიტყვით „პროფესიონალი“.

აი კიდევ ფართო მასისათვის უცნობი ფაქტი. პირველი ანკეტის კითხვაზე: „ყოფილხართ თუ არა პარტიულ სასამართლოში მიცემული, როდის და რატომ“, ვლადიმერ ილიჩი უპასუხებს: „მენშევიკებმა რ. ს. დ. მ. პ. განხეთქილებების დროს“.

როგორ მაგრათ მოისმინა ეხლა ილიჩის სიტყვები შემდეგ პასუხზე: „რა დოკუმენტი ან მოწმობები გაქვთ თქვენ, რომელიც ამოწმებდეს თქვენ ყოფნას ჩვენს არალეგალურ ორგანიზაციაში?“

„პარტიის ისტორია—დოკუმენტა“.

ილიჩს ყოველთვის თამამად შეეძლო დაყრდნობა კომპარტიის ისტორიას. ის მისთვის დიდება და სიამაყეა, როგორც თვითონ ილიჩი პარტიისათვის.

წარსულიდან

რვა მუშის ისტორიისათვის*)

(გაგრძელება)

მართალია „რვა მუშის“ კონფერენციის გადაწყვეტილებით დიური გაზეთი უნდა გამოგვეცა, მაგრამ სინამდვილეში შეუძლებელი შეიქნა. მხოლოდ კვირეული ჟურნალის გამოცემა შეეძლო. პირველი ნომერი გამოვიდა 1917 წ. 15 იანვარს, მე-2 5 მარტს, მე-3 2 აპრილს, მე-4 16 აპრილს. აქედან იწყება „პირველი ნაბიჯი“ სისტემატიური გამოცემა.

ჟურნალის გამოცემის წინ ჩვენთან გააბეს მოლაპარაკება ბოლშევიკებმა, ამ საგანზედ ნაძალადევე მოხდა ჩვენი „რვა მუშის“ და ბოლშევიკებს საიდუმლო კრება (კარიზმის დროს) კრებას დაესწრო ს. ქავთარაძე. მისი აზრი დაახლოებით ასეთი იყო: ჩვენ შემრავლესნი განდევნილები ვართ პარტიულ პრესიდან, ამიტომ ჩვენ თქვენგან მეტს არა-

ფერს მოვიტოვოთ, რომ წერილების ბეჭედის უფლება გვექნოდეს თქვენს გაზეთში. ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებდა და ვაყენებდით—რა ინტერნაციონალურ-პარტიულ (Интернационалистиче партиный) ხაზს ვითხოვდით სარედაქციო კოლეგიაში შევრთებას და აღებულ გეზზედ თანაბარ უფლებიან მუშაობას.

ჟურნალში თანამშრომლობა შეეთავაზეთ აგრეთვე ნოესაც, იმ იმედით რომ ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულ „ჰკა მაგას“ კომპანიის გარეთ იდგა და კერძო საუბარში რამდენიმე მაინც გვაპართლებდა უფრო თავისუფალ პარტიულ კრიტიკის წარმოებისათვის ამხ. საველამ წერილი მისწერა თანამშრომლობაზე, მაშინ ნოე სოფელში სცხოვრობდა და შინა მეურნეობას ეწეოდა, მიწვევაზედ პასუხი მივიღეთ და პასუხი სრულიად ცივი და ოფიციალური. სხვათა შორის გვეწერდა—მე ნუ მთხოვთ თანამშრომლობას, ძალი, ვინც მოკლა ამანვე გადაათრიოს.

დაწყებულ საქმეში, მით უმეტეს პირველ ხანებში, სანამ ჟურნალი საზოგადოებას დაენახებოდა და თავის გარშემო მოიკრებდა ლიტერატურულ ძალებს, დიდი დახმარება გავგვიწია რედაქციასთან შეიძრო დამოკიდებულებაში მუშაობით ერთმა ლიტერატურულმა ძალამ, ამხან. რ. კალაძემ. საზოგადოათ უნდა ითქვას, რომ ჟურნალის არსებობის ხანაში ყველაზე მეტი ღვაწლი თავისი დაულაღვი ენერგიით და პირადი შრომით მიუძღვის საველი მეტრეველს. აი ეს ორი პიროვნება არიან ჟურნალის არსებობის პირველს პერიოდში მაინც მისი ცენტრალური მამოძრავებელი ფიგურები.

ჟურნალი გამოიცა ჯერ კიდევ რევოლუციამდე და საგულისხმოა, რომ ჩვენ, ყველასგან ათვალწუნებულმა მუშათა ერთმა ჯგუფმა, რედაქციის ხანაშიაც აღვნიშნეთ ჩვენი ჟურნალის პირველ გვერდზე სურათით, მომავალი რევოლუციის მომწოდებელა—შუშა რომელიც ზარის რეკით აღნიშნებს მუშათა, კლასის მყვლეფელთა კლასის დღისამზობად და თავისუფლების მოსაპოვებლად.

მოხდა რევოლუცია, დადგა უდიდესი განახლების და აღორძინების ხანა, მანამდე ამა რთული ცხოვრების უსუღმართი სოციალური წყების კიბე შეტრიალდა და თავი დაბლა მოექცა. ჩაგრულნი და ტვირთმძიმენი ცხოვრების სათავეში ავიდნენ. უდიდეს სიხარულმა თითქოს ცოცხით მოგავა ყველა ჯგუფური და ფრაქციული განსხვავებანი. ყველანი გრძობდნენ ძალთა გაერთიანების საჭიროებას დიდი ხნის ნანატრ თავისუფლების დასაცავად. მხოლოდ ერთი აზრით და რწმენით აღვიჭურვდით.

— მეტი თვალაღება, მეტი რევოლუციონური სიმტკიცე და დავიწყება ყველა პირადი და კერძო ინტერესებისა. ისტორიის დიადი ხანა მოითხოვდა პიროვნებათა დიად რევოლუციონური რანდობასაც. მაგრამ პატარა კაცუნებმა გვერდი ვერ აუხვიეს პატარა ზოახვებს და არ დაივიწყეს მტრობა და გაიძვერობა. ასეთი ხალხის საუკეთესო გამოიმეტველი გამოიღვა ზ. დათიაშვილი: 1917 წ. ივნისის შუა რიცხვებში მოწვეული იყო ა. კ. ს. აოლქო ს.-დ. მ. პარტიის ყრილობა. ამ ყრი-

*) იხ. „სიმაართლის ხმა“, № 36.

ლობაზე დათავსებულა თვალი მოკვრა რა-
მოდენიზე „რვა მუშელთაგანს“, ანთო ძველი
მტრობით და იმავე დღეებში ერთობის 78
ნომერში გაიხსენა ძველი ბრალდება და თა-
ვისებურად შეგავამო. მართალია ჩვენმა ჟურ-
ნალმაც ვასცა სამაგიერო პასუხი, რასაკვირვე-
ლია არა დათავსებულური, მაგრამ ანგარიშ
გასაწევი იყო ის, რომ დათავსებელი და მის-
თანანი ვერც რუსეთის ბუმბერაზმა რევოლუცი-
ონამ გადაახალისა და მისი დაცვის მონოპო-
ლისა მხოლოდ თავის თავს აკუთვნებდა.

ეს პრესაში. მაგრამ არც პარტიულ—რე-
ვოლუციონურ მუშაობაში იყო სენანიარად. აქ
უფრო მეტის სიძაფრით გვებრძოდნენ, ერთი
და იმავე საქმისთვის. მათ მომხრეთ წარმატებას
ქება დიდებას უშუალებდნენ, ხოლო ჩვენ და
ჩვენ ამხ-ნაგებს ზნეობრივ და ფიზიკურ სას-
ჯელით, და ჩაწიხლვით გვიმასპინძლებდნენ.

უდიდესი დანაკლისი იყო ჩვენი ჟურნალის-
თვის ოთხი საუკეთესო ამხ. დაკარგვა.

პირველი იყო გ. ხირსელი რომელიც სულით
და გულით ჩვენ ჯგუფთან იყო. გვიწყობდა
ხელს და გვახმნებდა ჩვენი მიზნის ბოლომ-
დე მისაყვანად მაგრამ მსახურაღმა სიკვდილმა
ალარ დააცადა, ენახა მის მიერ მუწინებოლ
ჯგუფის ნაღვაწი. ის გარდაიცვალა 1916 წ.
27 დეკემბერს.

მეორე იყო გრ. ხერხეულიძე, დერბტის

უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტის სტუ-
დენტი, აღზრდილი ნაძალადევი და რ. გ. ზ.
მთ. სახლ. მუშა მოწაფეებში. სულით და გუ-
ლით ს. დემოკრატი, ნიჭით და ენერჯით
აღსავსე, ჯერ კიდევ ახალგაზრდას 20 21
წლის ჰქონდა ლიტერატურული-დრამატიული,
ლირიული ნაწარმოებნი. ვის არ ახსოვს 1914
წ. ზაფხულში თიანეთში კიკნა ფშაველის სი-
დუმლოებით „მოკული ტრაგედია“, რომელმაც
მოკლა ჩვენი ამხ. გრ. ხერხეულიძე და თითო-
ნაც მოიკლა თავი.

ორი დანარჩენი იყვნენ დუშეთის აჯანყება-
ში დაღუპული ამხ. პ. ავლობაშვილი და ს.
რიკაძე.

ამათ მიემატა ჟურნალის მუდმივი თანამშ-
რომელი თ. ფიფია.

მართალია დანაკლისი დიდი იყო ჩვენი
ისედაც მცირე ძალებისათვის, მაგრამ სამაგი-
ეროდ ახალი ძალების მომატებით რიგები
ისევ ივსებოდა და ბოლოს ჩვენი ჟურნალი
გამოდის შინაარსით და ლიტერატურული ძა-
ლებით გამაგრებული.

დასასრულს მინდა შევნიშნო, რომ ეს წერი-
ლები არ არის სრული სურათი „რვა მუშის“
მთელი მოღვაწეობის, ეს არის მხოლოდ იმ
ნასაქმარის აღწუსება, რომელიც მე პირადად
ვიცოდი, ან მინაწილე ვიყავი.

ჯ. ფარაძე.

მუშათა წერილები

გალახარებელი შიში.

ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული საერთო
ხასიათი წლებიანდელი მოსაუღლისა, არ არის გა-
მორკვეული თუ წლებიანდელი მოსავალი რამ-
დენად საკმარისია, რომ შეგნენელი ძალები
ამოაქმედდნენ და უკვე ჩანს ნიშნები, რომ
უნდათ ეს მოვლენა შავი ზრახვების განსახო-
რციელებლათ გამოიყენონ.

რაშია საქმე? ვინ არის დაინტერესებული
შექმნას ბურჟუაზი მზიან დღეში? ეს ის ხალხია,
რომელიც მცირე მოგებას არ არიან ჩვეულებრივ,
რომელთაც უნდათ მათმა გროშმა მანეთი
მოიგოს. დიახ, მათთვის აღდგომაა მაშინ, თუ-
კი შეშინებული მოქალაქენი მიაწყდებიან დუქ-
ნებს და გამყიდველიც ისარგებლებს მისგანვე
შექმნილი ჰანაკით და თითოკაპიეკების წამა-
ტებით ორ დღეში ორჯერ და სამჯერ გააძვი-
რებს პურს. აქ არის ამ კითხვის სიმძიმე, და
ჩვენც აქეთ უნდა მოვმართოთ ჩვენი სადარა-
ჯო, თუ ერთხელ შესძლეს სპეკულიანტებმა
ჰანიკის შექმნა და პურზედ ფსენების აწევა,
მერე მის შეჩერებას და ისევ ნორმალურ
კალაპოტში ჩაყენებას დიდი ენერჯია ესაჭი-
როება.

რასაკვირველია, თვითველი მოქალაქის შე-
გნებული მოპყრობა კითხვისადმი დიდი და-
ხმარებაა საერთო საქმეში, მაგრამ, იმდენი
მაინც არ შეუძლიან რამდენიც ორგანიზაციით
გამაგრებულ ძალაუფლების. სწორედ ამის საწი-
ნაღმდევით უკვე არის შექმნილი ძლიერი
ორგანიზაცია შინაგაქრობის კომისარიატის
სახელწოდებით. კომისარიატის მიზანია მოა-

წესრიგოს და გაანაწილოს მცხოვრებთათვის
მოსახმარი საგნები, დაეხმაროს იქ, სადაც
აკლია, ისესხოს იქიდან, სადაც მეტია, რომ
ამით შექმნას მთელ ამიერ კავკასის ტერიტო-
რიაზე მოსახმარი საგნების თანაბარი მდგო-
მარეობა, მთლიანი ეკონომიური ფორიტი-
რასაკვირველია ეს შებრძოლება არ უნდა გამოი-
ხატოს ცარიელ სიტყვა აგიტაციაში, არამედ სა-
ქმნიან მუშაობაში, საკმაო მარაგის შექმნით
მტკიცე და სწორი გეგმით. ხალხის მოპოე-
ლით და კოოპერატიულ და საზოგადოებრივ
ორგანიზაციებს შორის სწორი გაწესრიგებით.

უან-ვალუან.

ბ ო რ ჯ ო მ ი

ყველას მოგვხსენებათ, რომ ბორჯომი დიდ
სიმდიდრეს წარმოადგენს საქართველოსთვის.
ეს პატარა ქალაქი თვით ბუნებას შეუქმნა.

ქალაქ ბორჯომშია რამდენიმე ქარხანა; შუ-
შის, სახერხი, ჩამოსასხნელი და დამბეჭდი
ქარხანა, ამასთან ერთად არის მრავალი შე-
მოსავლიანი სამკურნალო წყაროები. ჩვენ შეე-
კარით კოლექტიური ხელშეკრულება. ხელშე-
კრულებაში არის მოხსენებული, რომ ჯამაგი-
რები უნდა მიეცეს თვეში ორჯერ.

ეს მხოლოდ ქალაქზე სწორია, საქმით კი
არაფერი გაკეთებულა, ხან ორი თვე გადის,
ხან თვე ნახევარი და ძლიეს გვედირსება ჯა-
მაგირის აღება მუშებს. როდესაც აღმინიტ-
რაცია გამოგვიცხადებს ფული არ გვეყოფნისო,
მუშებს რომ შეხედოთ, ფერი ეცვლება. რო-
გორ უნდა გადაიხადონ ორი თვის ეალები?

კერძო ვაჭრებს უვარდებით ხელში, ნისიათ
საქონელი მოგვაქ და ერთსამათ გვაწერენ. ვე-
რალა, ვერა გზით ვერ ვიხსენით თავი ვაჭრე-
ბისაგან. თავის დროზედ რომ იყვეს ჯამაგირე-
ბი, ეს ასე არ მოხდებოდა. კოოპერატივიდან
ჩვენ ძალიან შორს ვართ, მისთვის, რომ ფული
არა გვაქ და ვერაფერი ვსარგებლობთ. ნისიათ
კი არავინ გვაძლევს. ეს ჩვენ ეკონომიურ მდ-
გომარეობაზე. ეხლა ვნახოთ როგორია შრო-
მის ნაყოფიერება ამავე დროს ჩვენს ქარხანა-
ნაში. 1921 წ. სახერხავ ქარხანაში მუშაობდა
დღიურებიანა 125 კაცი. 1922 წ. დასაწყისში
მუშაობდა 105 კაცი. 1923 წ. დასაწყისში მუ-
შაობდა 93 კაცი.

რა კეთდებოდა ნედლი მასალა ამ წლებში:
1921 დაიხერხა 170.483 ოთხკუთხი ვერშოკი
სხვა და სხვა ზომის მასალა. შპალი დაიხერხა
12768 ცალი. ბურბუშელო გაკეთდა 2784 ფუ-
თი. მუშაობდა 125 კაცი როგორც იყო აღნი-
შნული. 1922 წ. დაიხერხა 170,922 ოთხკუთ-
ხიანი ვერშოკი სხვა და სხვა ზომის მასალა,
ბურბუშელო გაკეთდა 3,584 ფუთი. მუშაობდა
105 კაცი. 1923 წ. 15 ოქტომბრამდინ დაიხე-
რხა 140,074 ოთხკუთხი ვერშოკი, ბურბუშელო
გაკეთდა 5714 ფუთი. უნდა მივიღოთ მხედვე-
ლობაში, რომ მარიაშობის თვეში შეგებულია
ქონდა მუშებს, რის გამო ქარხანა დაკეტილი
იყო. ამ წელს მუშაობდა 93 კაცი, მკითხველი
გაიგებს აქედან, რომ უქანასკნელ წლებში სა-
გრძნობლად გაზრდილა მუშაობა. 1924 წელს
უფრო წინ წაიწია მუშაობამ. ამ წელში მუ-
შა-მოსამსახურეთა რიცხვი 60 კაცამდე. ამას-
თანვე გვყავს ძალიან გამოცდილი გამგე და
ბუხნალტერი. მაშ რაშია საქმე, რომ ჯამაგი-
რების მიღებას არა აქვს საშველი? წინათ, სა-
ნამ გამების ხელში იყო გასავალ—შემოსავალი,
კიდევ არა უშავდა. ეხლა-კი მდგომარეობა ძა-
ლიან ცუდია.

არც მუშათა კოოპერატივია თავის
სიმძლავრე დაყენებული. ეს სხვათა, შო-
რის, კარგად დაგვანახვა 21 ივნისის საერთო
კრებამ. მილოცების შემდეგ სიტყვა ეძლევა
კოოპერატივის ახალ გამგეობის წევრს, ფერადეს.
მან ანგარიშები წარმოადგინა. მან სთქვა რომ
ვალების გასტუმრებას მთელი ჩვენი საქონელი
უნდაო და შემდეგ ოთხი ცარიელი კდელი
დაგვჩრებაო. აშკარაა, რომ ჩვენი შეტანილი
საპაიო თ ა ნ ხ ა აღორსად ს ჩ ა ნ ს, ეს ექ-
ვისი წელიწადის სულ ოთხ კელვლს გვიჩვენე-
ბენ ძველი და ახალი გამგეობის წევრები. შე-
მდეგ გამოირკვა, რომ კოოპერატივის სამი
ჯამაგირიანი თანამდებობა ჰქონია. თავმჯდო-
მარე და მდივანი 86 მანეთს ლებულობენ თვე-
ში. საწყობის გამგეს 60 მანეთი აქვს. ამას მი-
უმატეთ ბუხნალტერი; ნოჭრები და სხვა ხარ-
ჯები. თვიურად გადის 825 მანეთი. ჩვენი კო-
პერატივი ამდენ ხარჯებს ვერაგზით ვერ და-
ფარავს. ეს ჯამაგირები სამჯერ აღემატება
ჩვეულებრივ მუშების ჯამაგირს. მათ მე გო-
ნია 50 მანეთი ეყყოფათ ამ ეამათ. დასასრულ
შეტანოლ იქნა წინადადება საქონლის ნისიათ
გაცემის შესახებ, რაც კრებამ ერთხმად მი-
იღო. ამასთანვე დაადგინეს ერთდროულად
შეიტანოს ყველამ 5 მან. 50 კ. თითო კაცზე.
ვესურებ ახალ გამგეობას წინსვლას, ენერ-
გიულ მუშაობას; რომ კერძო ვაჭრობა არ გა-
ახარონ და მომავალში ოთხი კელელი არ გვი-
ჩვენონ.

არ. როსტომაშვილი.

„სიპართლის ხმას“

გზა განაგრძე, ყურს ნუ უგდებ არამზადა რწმენის გერებს,
 გამარჯვებას ის იგემებს უკანასკნელ ვინც იმერებს. }
 დაკარ იმათ, ვინც თავის ტინს კლასის გები ანაცვალა,
 დაკარ იმათ, საქართველო ევროპაზე ვინც გაცვალა,
 დაკარ იმათ, ვინც განზე დგას და დასკინის შესნ გოლოვთას,
 ერს მსხვერპლისკენ მოუწოდებს, რუსთაველზე კი სცემს ბოლოთას!...
 შერცხვის იმათ, ვინც მუშის მტერს ანაცვალა მუშის ბედი!...
 გზა განაგრძე, რას დაგაკლებს სულმდაბალი, ენით ყბედი?!...

ლიდიანი

საქმეს ბოლომდე უნდა მიუვასნა.

დაწყებული და შეჩერებული საქმე ხშირად დაუწყებლობაზე უარესია. ასეთია მდგომარეობა თბილისის ქალაქის ტრამვაის წესრიგის შესახებ. რამდენი უბედური შემთხვევა იყო, რამდენი უმანკო კაცი იმსხვერპლა ტრამვაის მოძრაობამ ჩვენივე, მცხოვრებლების, მოურიდებლობით და უთავბოლობით.

აქ უმთავრესად ლაპარაკია მოძრავ რონოდებიდან გადმოხტომაზე და შეხტომაზე. ეს ჩვენი უკუღმრთობის მაჩვენებელია, რომ დღემდე არ ვიცით ისეთი სასარგებლო დარგის მოხმარა, როგორც ტრამვაია არის.

რამდენადაც გამიგია, სხვა ქალაქებში, მოსკოვში ამას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. იქ ყველა მგზავს, რომელიც ახალ ფეხ-აღგმულ ან ვაუჩერებელ რონოდს ჩამოვა სამ მანეთს ჯარიმას ახდევინებენ. ფულის არქონობაც არ შეეძლებოდა წესრიგების დამრღვევ მოქალაქეს. მას ანატიმრებენ და საბოლოოდ ფულს მიანიც ახდევინებენ. ამის შემდეგ მოსკოვში სამავალითო წესრიგია ტრამვაიაზე. იქ ძალიან იშვიათი შემთხვევაა ამ წესების დარღვევა.

თბილისში-კი სულ სხვას ვეხდეთ, ამობენ ქალაქის აღმასკომმა აკრძალა მოძრავ რონოდთან ჩასვლა-ამოსვლა, მილიციასაც დაევაოლა ამაზე თვალ-ყურის დევნება. სინამდვილეში ეს არაფერი არ ტარდება.

თავისუფლად შეგიძლიათ ჩამოხტეთ გაქანებულ ტრამვიდან თვით პოსტზე მდგომ მილიციონერის წინ და ხმას არავინ გცემს. ზოგ მოცილიმა ახალგაზრდამ ეს შეხტომ-ჩამოხტომა ვარჯიშობათაც გაიხდა და თავმომწონეობათ მიიჩნიათ, რაც უფრო ჩქარა მიმავალ რონოდზე შეხტებიან.

ყოველივე ამას ბოლო უნდა მოედოს. პროლეტარულ სახელმწიფოში, სადაც ყველაფერს წესრიგი უნდა ახასიათებდეს, დაუშვებელია ტრამვაის უყურადღებო მიტოვება. ქალაქის აღმასკომმა, რადგან დაიწყა ეს საქმე, ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

სხვა რომ არ იყოს რა, სირცხვილია ჩამოსულეების თვალში, რომლებიც ვაკვირვებით მისჩერებიან ამას.

კარბენი.

ამას ვუჩაღლები მიქცევს უნდა.

ამ უკანასკნელ დღებში თფილისში პურის გამოკნობის და მცხოვრებლებზე მიწოდების საქმე ვერაა კარგათ დაყენებული. ამას წინათ, რამდენიმე დღით ქალაქში პური საკმარისად

არ მოიპოვებოდა. კერძო ვაჭრებმა პურზე ფასის აწვევა მოინდომა, აღმასკომი ამაზე არ დასთანხმდა და ფქვილის მიწოდება უფრო კოოპერატიულ ფურნეებზე იწყო. კოოპერატიულ ფურნეებში გამოიძცხვარი პური ქალაქის მცხოვრებთ არა ჰყოფნის, რადგან ფურნეები საკმარისად არ არის. ამან გამოიწვია ამ ერთი კვირის წინათ გამოიძცხვარ პურის ნაკლებოვანობა.

ესეა ეს მდგომარეობა შეიცვალა. ფასებზე პური ძველივე დარჩა და კერძო ფურნეებიც განაგრძობენ მუშაობას. სამაგიეროთ, პურის ხარისხმა იკლო. ბევრ ფურნეებში შეხვდებით უმცხვარ პურს, ან და თუ გამოიძცხვარია ისიც ნაძალადევათ, რომ ზედმეტი აიწონოს.

კერძო მეფურნეებმა აქედანვე დაიწყეს ეშმაკობა. მათ სურთ ის ცოტათოდენი ზარალი, რომელიც ვეღვამ მიაყენა ჩვენს საბჭოთა კავშირს თავის ჯიბისათვის გამოიყენოს.

თუ ასეთ ყალბადანობას ესხვავე არ დაედო ლაგამი ის უფრო განვითარდება და ფართეფასა, რომელიც დღეს კიდევ კერძო ფურნეებში ყიდულობს პურს, ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება.

უნდა მიაქციოს ამას ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. საქიროა ხანგამოშვებით ჩამოიარონ ფურნეები და გასინჯონ გამოიძცხვარ პურის ხარისხი.

ან. კამარაძე.

სტოვეგენ მენაფე. პარტიას

სოფ. ქვემო-ქალა (გორის მაზრა *)

ხ ი მ თ ი

- 82. ძევისაშვილი ვ. მიწ. მუშ. პარ. 1918 წ.
 - ლ ა მ ის ქ ა ნ ა**
 - 83. ქილაშვილი ლექ. მიწ. მუშ. პარ. 1903 წ.
 - 84. პალაშვილი მიტ — — 1903 —
 - ს ა მ ქ ა მ ა**
 - 85. წითელიაური ა. მიწის მუშა. პარ. 1905 წ.
 - 86. თომასაშვილი ი. — — — 1918 —
 - 87. გასიტაშვილი — — — 1919 —
 - 88. ბესიაშვილი თე. — — — 1919 —
 - 89. ილურიძე ვასილი — — — 1919 —
 - 90. ქურციკიძე გიორ. მკედელი პარ. 1903 —
 - 91. ტატიშვილი სოსე მიწის მუშ — 1903 —
- № 89—90 წერა არ იციან, მათ მაგივრათ ხელს ვაწერ ჩ თოთლაური ა.

ი გ თ თ ი

- 92. მარიანიძე ანტ. მიწის მუშა პარ. 1905 წ.
- ძ მ მ მ მ. ზ ა ლ ა**
- 93. გახელიძე ვასო მიწის მუშა პარ. 1917 წ.

ინ. „სიმ. მმ.“ № 86.

- 94. ქენჭაძე ნიკა შეზადე — — 1919 —
- 95. პაპუაშვილი ვანო მუშა — — 1918 —
- 96. ტურტულაძე აბ. მიწის მუშა პარ. 1917 —
- 97. ხანდაკელი შაქრო. — — — 1918 —
- 98. გორჯალაძე გ. — — — 1919 —
- 99. კარბელაშვილი ნ. — — — 1917 —
- 100. გორჯალაძე თ. — — — 1920 —
- 101. ვაბილაძე ნიკა — — — 1919 —
- 102. ბახუაშვილი ვარ. — — — 1920 —
- 103. ბუდაგაშვილი გაბ. — — — 1920 —
- 104. თათრიშვილი ილ. — — — 1918 —
- 105. ფლავაშვილი სან. — — — 1917 —
- 106. აბულაშვილი ნ. — — — 1920 —
- 107. სოზიაშვილი ვ. — — — 1917 —
- 108. თავშავაძე ნიკო — — — 1915 —
- 109. ხელაშვილი ლევ. — — — 1919 —
- 110. გორჯალაძე ნ. — — — 1918 —
- 111. პარკაძე ილიკო — — — 1917 —
- 112. წითელიაური შ. — — — 1903 —
- 113. წითელიაური ლექსო — — — 1918 —

№ 111—113-მდე წერა არ იციან, მათ მაგივრად ხელს ვაწერ ნიკა თავშავაძე.
 114. გორჯალაძე ფ. მიწ. მუშა პარ. 1918 წ.
 115. პარკაძე ს. კანკელარ. მოხ. — 1919 —
 116. თრუაძე აღ. მასწავლებელი — 1905 —

ყრილობის თავ. ფანჯარაშვილი.
მღვიანი ფრუაძე.

ს ს ს ს ს ს ს ს

— ბერლინის პოლიციის უმფროსმა აკრძალა მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები თმის ათი წლის თავზე.

— გერმანიის შოვინისტებმა მთავრობის შემწევობით თმის ათი წლის თავი აღნიშნეს სადღესასწაულო დემონსტრაციებით. ბრბოს ხელში ეჭირა ვიღველმის სამეფროვანი დროშა.

— რუმინის მენშევიკებმა განიზრახეს თმის საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობა. მთავრობამ ამავ დროს აკრძალა ამსტერდამისგან დამოუკიდებელ მემარცხენე პროფკავშირთა დემონსტრაცია.

— 29 ივლისს უორების ქველთან პარიზის კომპარტიამ მოაწყო გრანდიოზული დემონსტრაცია, ევროპის მკვლევობის ათი წლის თავზე. საფრანგეთის კომპარტიის მღვიანს ხელში ეჭირა მოსკოვის მუშებისაგან მიძღვნილი დროშა, რამაც იშვიათი აღტაცება გამოიწვია.

— ვლადივოსტოკში თმის საპროტესტო დემონსტრაციამ, რომელიც ჩინელებისგან, კორეელებისგან და ინგლისელ მწვლეაურებიდან შესდგებოდა, მეორე ინტერნაციონალის სიმბოლოური გამოხატულება საჯაროთ დასწვა.

— მოსკოვში თმის სწავნიანდმდეგო დემონსტრაციამ, ფართე ხასიათი მიიღო. მუშათა რაიონებში ყოველ დღე მიტინგები და დემონსტრაციები იმართებოდა.

— ინგლის—საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებების შესახებ გარემე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსონომ განაცხადა, რომ ხელშეკრულება არ იქნება ხელმოწერილი, სანამ მას პარლამენტი არ განიხილავს.

— საფრანგეთის პალატაში ამინსტიის კითხვამ ისეთი გამწვავება გამოიწვია, რომ კრება შესწყდა. ეს პირველი შემთხვევაა საფრანგეთში 25 წლის განმავლობაში.

— ამხ. კალინინი სოფლად ყოფნის დროს ელვა-ქუხილში მოჰყვა. მეზობელი მოკვდა მის გვერდით მდგომი მეეტლე და დაზიანდა ფოტოგრაფი. ამხანავი კალინინი უვნებლად გადაარჩა.

— პრემიერთა დადგენილებით გერმანიის დელეგაციას მიიწვევენ ლონდონის კონფერენციაზე ორშაბათს 4 აგვისტოს.

— საფრანგეთის პარლამენტის სხდომა დასრულდა. ამით ერის საში თვის ვადით თავისუფალი მოქმედების საშუალება ეძლევა.

— იაპონიის მთავრობა, დეპუტატების ცნობით, სერიოზულად იხილავს საბჭოთა კავშირის უახლოეს დროში ცნობის კითხვას.

— გერმანიის მთავრობამ შეასრულა ჩვენი გარეშე საქმეთა კომისარის მიერ წაყენებული ყველა მოთხოვნილება.

— საბჭოთა კავშირის გზათა კომისარიატ-

მა გადასწყვიტა მთელ კავშირში პირველყოფილის სურამის ულელტებილს უყოს ელექტროფიკაცია.

— 1925 წლიდან შეუდგებიან სურამის ულელტების ელექტროფიკაციას.

— იაპონიის გავითების ცნობით უკვე გაიზავნა 5 გემი სახალისის კუნძულიდან იაპონიის ჯარის გაიმოსაყვანათ.

— მაკდონალდმა საიდუმლოდ აცნობა საფრანგეთ-ბელგიის პრემიერებს, რომ საქირთა რურის სრული ევაკუაცია.

ეროიმ ტელეგრაფით გაუკეთა პალატას მოხსენება, რომ საფრანგეთის დელეგაცია ყოველ ღონეს იხმარს, რათა „ვერსალის ზავი უვნებლად დარჩეს“.

ცნობა მოვიდა, რომ ახლო მომავალში საფრანგეთის ნავთსადგურები გაიხსნება გერმანიის გემებისათვის.

— ვინაიდან ბაშის მოსავალი წელს კარგია რუსეთის უმადლეს სამ. საბჭომ გადასწყვიტა სექტემბრიდან საგრძნობლად დააკლოს ფასები ქსოვილებს.

პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

უკვე გავიდა ეს კვირა და გერმანია ჯერაც არ არის მიწვეული ლონდონის კონფერენციაზე. დეპუტატების გადმოცემით-კი მოწვევა წასულ დღეებში უნდა მომხდარიყო.

მიზეზი გერმანიის მიუწვევლობის, რა თქმა უნდა, იმ დაბრკოლებებში უნდა ვეძებოთ, რომელიც კონფერენციას წინ უდგას და საერთო ენის გამონახვას აუიანურებს.

ლონდონის კონფერენციას განსაკუთრებული ადგილი დაუჩრება მოკავშირეთა ურთიერთობის ისტორიაში ის შნიშვნელოვანია არა იმით, რომ დასაღწევ რაიმე რეალურ, ან ქაოსიდან თავის დასაღწევ გზას იძლეობდა. სრულიადაც არა.

ლონდონის კონფერენცია უკვე აშკარა, მოუპოვებელი დემონსტრაცია იმ წინააღმდეგობის, რომელიც ლონდონის მოკავშირეთა კეთილშეგობრულ ურთიერთობას.

დღეს საერთაშორისო მუშათა კლასის თვალში საბოლოოდ გამოაშკარავდა, რომ მოკავშირეთა ტყვეობა მასალათი განუყოფელი მეგობრობაზე და ინტერესთა ერთიანობაზე ჩვეულებრივი ბურჟუაზიული სიყალბეა.

ვიმეორებთ—ამ მხრივ დიდია მნიშვნელობა ლონდონის კონფერენციის.

მისდამი ყურადღებამ და თვალისგდებამ ინგლის—რუსეთის მოლაპარაკებაც-კი დამარდილა დროებით.

დღეს ლონდონის კონფერენციაზე არსებითად ვერსალის ავაზაკურ „ზავის“—ყოფნა არ ყოფნის კითხვა დგას.

სარეპარაციო კომისია ერთი მხრივ მის მოსარჩლის როლში გამოდის. ხოლო დოქუსის გეგმა გერმანიის ფურის წველას იცავს ახალ მეთოდებით, საიდანაც ინგლის-ამერიკის ბურჟუაზიის თავის ჯეროვანი ხედვრიც ერგებათ და ამასთანავე ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის გაძლიერების საშიშროებაც თავიდან

იქნება აცდენილი.

ასეა თუ ისე, სესხის კითხვა, რომელიც გერმანიას ისე ესაპიროება, როგორც მიწვეულ ფურს საკვები, უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს კონფერენციის შეთანხმების გზაზე.

ამ კითხვის ირგვლივ დეაბირისპირებულია მოკავშირეთა ორი ჯგუფი: ინგლის ამერიკა და საფრანგეთ-ბელგია. პირველი ქონებრივ შესაძლებლობის ხალხი უფროა, ვიდრე უკანასკნელნი, ცხადია გერმანიის სესხი მათ ქვეყნის ბურჟუაზიამ უნდა გაიღოს თავის ჯიბიდან.

მაგრამ ინგლის-ამერიკის სურჟუაზია ფულებს პირზე არ ისვრის. მას სესხის განაღდების მტკიცე და რეალური თამასუქი უნდა ხელში. თუ სარეპარაციო კომისია დარჩა გერმანიის განუკითხავი მბრძანებელი, ცხადია ეს ინგლის-ამერიკის ფინანსისტებს ვერაფერ ნუგეშს მიცემს.

სარეპარაციო კომისიას—ამჟამად ისე უყურებენ, როგორც ფრანგ-ბელგიურ დაწესებულებას და პარიზის ყურ-მოჭრილ მონას.

როგორც დეპუტატებიდან სჩანს, კონფერენცია დიდი ტვივლებს, ნელი ნაბჯით, მაგრამ მაინც მივა შეთანხმებამდი. ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო მოკავშირეთა საბოლოო და ფორმალურ გათიშვის. ამიტომ ხდება, რომ კონფერენციაზე თვითეულ სახელმწიფოთა დელეგაციას დათმობის ტენდენცია დაეტყო.

ვენახოთ ამ მახლობელ დღეებში რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს დათმობა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება.

ეს კვირა საგულისხნოა საბჭოთა დიპლომატიის დიდ გამარჯვების მოპოებით. გერმანიის მთავრობამ დააკმაყოფილა ყველა ის მოთხოვნილებები, რომელსაც მას უყენებდა ჩვენი გა-

რეშე საქმეთა კომისარია კონფლიქტის ლიკვიდაციის და ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის პირობათ. სახელდობრ: დამნაშავე პირთა დასჯა, ზარალის ანაზღაურება და საევაკრო წარმომადგენლობის ექსტერიტორიული უფლების ცნობა.

ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ მხრივ, რომ ეს გააუმჯობესებს ეკონომიურ ურთიერთობას ჩვენსა და გერმანიის შორის. მას დიდი გავლენა დაუჩრება ჩვენი საგარეო ვაჭრობის საქმეში ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც.

ეს ფაქტი საუკეთესო გაცემითია ევროპის ბურჟუაზიისათვის, რომ მან საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთელ ორგანოებს მეტი პატივისცემით და მოკრძალებით მოეპყრას.

გერმანია-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი საამაყო ეპიზოდით შევა პარლეტარულ დიპლომატიის ისტორიაში. მის ჩვენს სასარგებლოთ დაგვირგვინებას ხელი მოუშართა საბჭოთა კავშირის მშრომელ მასის სიმტკიცემ და გერმანიის მუშათა კლასის მედგარმა გამოხმარებამ

კიდევ ერთი ცნობა.

ამასთან ერთად საბჭოთა დიპლომატიას კიდევ ერთი გამარჯვება ერგო ამ კვირაში. ჩვენი რესპუბლიკათა კავშირი იცნო ამერიკის ერთ-ერთ სახელმწიფომ—მექსიკამ. ესლა ჩრდილოეთ, ამერიკაში, კანადასა და მექსიკის შუა, მხოლოდ შეერთებული შტატები რჩება ძველს, საბჭოთა კავშირთან შეურიგებლობის პოზიციაზე.

იტალია.

მაშინ, როდესაც ლონდონში დღეს ანტანტის პრემიერები დაპარაზობენ, იტალიის დიქტატორ ფაშისტის, მუსოლინის ხმა არ ისმის იქედან. იტალია ამ კონფერენციაზე ყველაზე ნაკლებ აქტივობას იჩენს. მატეოტის მკვლევლობამ და მისგან გამოწვეულმა უკანასკნელ ამბებმა საგრძნობლათ შეარყია ფაშისტურ დიქტატურის ქვეყანა. მუსოლინის რამდენიმე დღით წსვლად, იტალიის ბურჟუაზიის ახრით, არსებულ ძალა-უფლებას საშიშროებას უქადის. მომავალი მათ დაუმტკიცებს, რომ სახელმწიფოს ბედს მუსოლინები დიდ ხანს ვერ ეპატრონებიან. ისინი დაეცემიან ტახტიდან თუგინდ ლოგინი გაიდგან ზედ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო, გთხოვ თქვენი ჟურნალი „სიმართლის ხმის“ უახლოეს ნომერში გამოაცხადოთ, რომ შევტოვებ მენშევიკურ პარტიას და მასთან არც იდეური, არც ორგანიზაციული კავშირი აღარ მაქვს.

საშურის დებოს ზენიკალი

გ. ფთაძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. ფარნივეი. ა. რუხაძე. კ. თოფაძე. ნ. ჩლიაძე. გ. ვარდიანი. ა. კუონია.